პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 223 (5024) | ოთხშაბათი, 29 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ეროვნებათა ურღვევი კავშირი და მეგობრობა („პრავდის“ მოწინავე).
აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი (მე-2, მე-3 გვ.).
მშრომელები მოითხოვენ პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების დახვრეტას (მე-4 გვ.)
სასამართლომ შეასრულა ხალხის ნება-სურვილი (1-ლი გვ.).
სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე (1-ლი გვ.).
ჩინეთის ჯარები დიდ შეუპოვრობას და სიმტკიცეს იჩენენ (1-ლი გვ.).
იაპონიის ჯარების წინსვლა შეჩერებულია (1-ლი გვ.).
აგრესორის გაუგონარი მხეცობა (1-ლი გვ.).
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.).
ინგლის - საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკების პროექტი (1-ლი გვ.).

ეროვნებათა ურღვევი კავშირი და მეგობრობა

ურღვევი კავშირი და ძმური მეგობრობა ერებისა, რომლებითაც დასახლებულია ჩვენი დიადი სამშობლო, სოციალიზმის უძვირფასეს მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნიან. მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურამ შესძლო ხალხთა საპყრობილის ნაცვლად, როგორიც მეფის რუსეთი იყო, მრავალერიანი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო შეექმნა.

ექსპლოატატორული სარეველებისაგან გაწმენდილ ნიადაგზე იზრდება და მაგრდება საბჭოთა ხალხების ერთსულოვანი ოჯახი. ჩვენი ნაციონალური რესპუბლიკები და ოლქები როდი არიან, ის, რაც მეფის რუსეთის დაბეჩავებული განაპირა მხარეები იყვნენ. დიდი რუსი ხალხი — პირველი თანასწორთა შორის ერთსულოვან ოჯახში, სისტემატურად ეხმარება წინათ ჩამორჩენილ განაპირა მხარეებს, ყოველნაირად ეხმარება მათ, რათა გამაგრდნენ და აყვავდნენ. მშრომელი მასები, რომლებმაც მოიშორეს მონობის უღელი და აღსდგნენ ახალი, თავისუფალი ცხოვრებისათვის, თავისი გულის მთელ მგზნებარებას ახმარებენ სოციალიზმის მშენებლობას.

ახალი სამშობლოს შემოქმედებითი ცხოვრების საშენებლად მოვიდნენ მილიონობით ადამიანები, რომელთა ხვედრი წარსულში იყო ორმაგი ჩაგვრის განცდა, სიღატაკე, შიმშილობა და უუფლებობა. ისინი თავიანთი ხელით ჰქმნიან უდიდეს ღირებულებებს, უცვლიან რა კულტურულ და ეკონომიურ სახეს ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებს. უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, კაზახები, უზბეკები და სსრ კავშირის სხვა ხალხები სამართლიანად ამაყობენ საუცხოოდ მოწყობილი სამრეწველო საწარმოებით — პირველი და მეორე ხუთწლედის პირმშოებით. მეტალურგიულ და საფეიქრო გიგანტების, კეკლუცი ჰიდროსადგურების, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობამ და ექსპლოატაციამ, მიწის წიაღის განძთა ტექნიკურად შეიარაღებულმა დამუშავებამ აღზარდეს და ზრდიან ათეული და ასეული ათასობით მუშათა ახალგაზრდა ნაციონალურ კადრებს. ეს კადრები ჩვენი სიამაყე, ჩვენი უდიდესი გამარჯვებაა.

ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სოციალისტურ მინდვრებზე — მხნედ, დაუღალავად მომუშავე გლეხები თვალის ჩინივით უვლიან და ამაგრებენ კოლმეურნეობებს. მათ საკუთარი მაგალითით იციან, რომ მხოლოდ კოლმეურნეობებშია მხიარული, შეძლებული ცხოვრება, მხოლოდ კოლმეურნეობა იძლევა ზრდისა და კულტურის მწვერვალთა დაუფლების შესაძლებლობას. ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში გაიზარდა პოლიტიკური შეგნება მილიონიანი გლეხებისა, რომლებმაც ისწავლეს იმის გაგება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და მათი საკუთარი ინტერესები ერთიდაიგივეა.

ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება გამდიდრდა ათობით და ასობით ახალი ტალანტიანი და ნიჭიერი ადამიანებით, რომლებიც მოწოდებულ იქნენ ცხოვრებისათვის წინათ დაჩაგრულ ხალხთა წიაღიდან. არტისტებს, პოეტებს, მხატვრებს იცნობს, უყვარს და უფრთხილდება საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახი.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე ამხანაგი **სტალინი** ამბობდა, რომ... „ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მათი ძალისა ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით, საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში“.

სსრ კავშირის ყველა ხალხის ეს უფლებანი მიღწეულია, მოპოვებულია და ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. მუშები, კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენცია არასდროს და არავის არ დაუთმობენ თავის სამშობლოს, თავის სიცოცხლესა და ბედნიერებას.

ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა გააფთრებულ ბრძოლაში მუშათა კლასის ურიცხვი მტრების წინააღმდეგ. „ნაციონალიზმისაკენ გადახრა არის მუშათა კლასის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის შეგუება—ბურჟუაზიის ნაციონალისტურ პოლიტიკასთან. ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს „თავისი“, „ნაციონალური“ ბურჟუაზიის ცდებს ძირი გამოუთხაროს საბჭოთა წყობილებას და აღადგინოს კაპიტალიზმი“. **(სტალინი).**

სასტიკად განადგურებული სამოქალაქო ომის აშკარა ბრძოლებში, ერთი მუჭა საზიზღარი ბურჟუაზიულ-შოვინისტური პოლიტიკანები ტაქტიკას იცვლიან. მგლები ცხვრის ტყავში ეხვევიან. ამ კაცუნებს ერთი წუთითაც კი არ შორდება ცხოველური სიძულვილი სოციალიზმისადმი, მისი მშენებლობისადმი — მუშათა და გლეხთა მასებისადმი. და რაც უფრო ნათლად გიზგიზებს ახალი წყობილების გამარჯვებათა ცეცხლი, მით უფრო საძაგელი ხდება ხალხის მტრების ოინები. ეს არამზადები — ხორცი ხორცთაგანი არიან ცხოვრების წინანდელ ბატონ-პატრონების: ექსპლოატატორების და პარაზიტებისა. ესენი არიან ვაჭრების და კულაკების, ბაბებისა და მოლების, მემამულეებისა და ფაბრიკანტების შვილები და ნათესავები. ისინი ადვილად ჰპოულობენ საერთო ენას ტროცკისტ-ბუხარინელ უწმინდურობასთან.

ამხანაგ სტალინს არა ერთხელ გაუფრთხილებია პარტიული ორგანიზაციები იმ საფრთხისაგან, რაიც იმალება ნაციონალიზმისაკენ სულ მცირე გადახრაში. მას არა ერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ნაციონალური საკითხის სფეროში კაპიტალიზმის ნაშთები გაცილებით უფრო გამძლეა, ვიდრე სხვა რომელიმე სფეროში.

მაგრამ ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების ბევრ პარტიულ ორგანიზაციას ამ გაფრთხილებიდან საჭირო დასკვნები არ გაუკეთებია. ისინი, ალბად, აჰყვნენ უაღრესად მავნე და უაღრესად სულელურ თეორიას, თითქოს სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ კლასობრივი მტერი უფროდაუფრო თვინიერდება. პოლიტიკური სიფხიზლე შეცვლილ იქნა უდარდელობით.

ისარგებლეს რა ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის დანაშაულებრივი დოყლაპიობითა და უდარდელობით, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა რამდენიმე ნაციონალურ რესპუბლიკასა და ოლქში შესძლეს გაძრომა ხელმძღვანელ პოსტებზე იდეოლოგიურ დარგში, პარტიულ და საბჭოთა აპარატში. ისინი ყველგან ათავსებდნენ ჯაშუშურ-დაზვერვით მუშაობას სისტემატურ მავნებლობასთან.

ნაციონალისტური ბრბოს საზიზღარი, სრულიად უმნიშვნელო ხროვა მალულად ცდილობდა ყველაზე ძლიერი ლახვარი ჩაეცა მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების ყველაზე ძირითადი, ყველაზე სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

იგი გასაქანს არ აძლევდა პარტიის მიერ გამოზრდილსა და მის ერთგულ ადამიანებს, უმოწყალოდ ახშობდა თვითეულ მუშაკის მისწრაფებას, მიმართულს ხალხის კეთილდღეობისაკენ. იგი ხელოვნურად ჰქმნიდა „ხლუდეებს“ ახალი კადრების დაწინაურებაში, ცილს სწამებდა და ცრუობდა, ავრცელებდა რა ხმებს მუშაკების ვითომდა ნაკლებობის შესახებ.

საზიზღარი არამზადები ცდილობდნენ გზა მოეჭრათ მუშებისა და კოლმეურნეებისათვის კულტურისაკენ, ხელს უშლიდნენ რა სასწავლებელთა მშენებლობასა და ზრდას, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ხელს უშლიდნენ რა სამშობლო ენაზე ლიტერატურისა და მეცნიერების განძთა გამოცემას, ისინი ფარულად ვნებას აყენებდნენ ნაციონალურ რესპუბლიკებისა თუ ოლქების ეკონომიურ მდგომარეობას, ჰქმნიდნენ რა თავის აგენტურას გადამწყვეტ სამეურნეო უბნებზე.

მაგალითად, უზბეკისტანში, ტაჯიკისტანში ბურჟუაზიული ნაციონალისტები აწყობდნენ მავნებლობის ქსელს სოფლის მეურნეობაში, ცდილობდნენ რა გზა მოეჭრათ კოლმეურნე მასებისათვის შეძლებულ ცხოვრებისაკენ. კარელიაში ბურჟუაზიული ნაციონალისტები მავნებლურად სცვლიან კარელთა ლიტერატურულ ენას ფინური ენით.

ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელი მასები უდიდესი კმაყოფილებით ხვდებიან ხალხის მტრების, მათი სასიცოცხლო ინტერესების გამცემლების გამომჟღავნებას.

ისინი მოითხოვენ ბოლომდე იქნას ამოფხვრილი ბურჟუაზიული ნაციონალისტების ყველა ბუდე. მტრების ნაშთების მხილებასა და განადგურებასთან ერთად, საჭიროა შეუდარებლად ფართოდ გაუხსნათ გზა ახალგაზრდა ნაციონალურ კადრებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავდადებული მუშაობით, რომელნიც ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიისა, რომლებიც გამოიბრძმედნენ ხალხის ყველა და ყოველგვარ მტრებთან ბრძოლაში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მომავალი არჩევნები — პირველი არჩევნები ახალი სტალინური კონსტიტუციის მიხედვით — უეჭველად გამოიწვევენ უფართოესი მასების აქტივობისა და ინიციატივის ახალ მძლავრ აღმავლობას. ამხილებენ და აძევებენ რა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, ისე როგორც ხალხის სხვა მტრებსაც, სსრ კავშირის ყველა ხალხის მშრომელი მასები წამოაყენებენ, აირჩევენ თავის ხელისუფლების ორგანოებში იმათ, ვინც აზრითა და გრძნობით, მთელი თავისი არსებით ერთგულია ლენინ-სტალინის საქმისა, ხალხთა ბედნიერების საქმისა, სოციალიზმის საქმისა.

„პრავდის“ მოწინავე, 27/IX

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩინეთის ჯარები დიდ შეუპოვრობას და სიმტკიცეს იჩენენ

შანხაი, 27 სექტემბერი (საკდესი). ლოდიან-ლიუხანის რაიონში ბრძოლა არ სწყდება. სოფელი ძინძიავანი (ლიუხანის აღმოსავლეთით) ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ამ რაიონის ბრძოლებში მონაწილეობდა იაპონელთა დიდძალი ტანკები. შეუპოვრობა და სიმტკიცე, რომლებსაც ჩინეთის ჯარები იჩენენ, საყოველთაო აღტაცებას იწვევს. არტილერიის ცეცხლის მფარველობით იაპონელთა ტანკებმა იერიში მიიტანეს ძიავანზე. ჩინელებმა აამუშავეს ტანკის საწინააღმდეგო ქვემეხები და იერიში მოიგერიეს.

26 სექტემბერს იაპონელთა სამხედრო ხომალდები მთელ დღეს უშენდნენ ყუმბარას პუტუნს. ღამით ჩინელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს მდინარე ვანპუს რაიონში. იაპონიელთა საზენიტო ქვემეხების ინტენსიურმა სროლამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. უცხოეთის სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ იაპონელთა საზენიტო არტილერიის დაბალ ხარისხს.

ჩინელთა შტაბის ცნობით, 25 სექტემბერს ნავსადგურ იუკონში გადასხეს 2 ათასი იაპონელი ჯარისკაცი. იქვე გადატვირთეს ასზე მეტი საბარგო მანქანა. იანძიაუში ამჟამად თავმოყრილია იაპონელთა ახალი დამხმარე ძალა 5 ათასი კაცის რაოდენობით.

ტოკიო, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იმ გააფთრებულ ბრძოლებთან ერთად, რომლებიც გრძელდება ლოდიანისა, ლიუხანისა და ლიუძიანჩანის სექტორში, იაპონიის ჯარები 26 სექტემბერს შეუდგნენ შეტევითი ოპერაციების საარტილერიო სამზადისს ძიანვანის სექტორში. გააფთრებული ბრძოლების დროს იაპონიის ჯარებს ორი დღის განმავლობაში მოუკლეს და დაუჭრეს 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის სექტორში იაპონიის ჯარებმა 26 სექტემბერს დილით გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მიაღწიეს სინლეს სადგურს (50 კილომეტრზე შიძიაჯუანის ჩრდილოეთით).

როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონელთა საზღვაო ძალებმა 25 სექტემბერს კონტრადმირალ სიმომურას სარდლობით დესანტი გადასხეს და დაიკავეს კუნძულები ვენჯოუს მახლობლად (ჯეძიანის პროვინციის სამხრეთი ნაწილი)

იაპონიის ავიაციის ახალი თავდასხმა ნანკინზე

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, არასრული ცნობით, კანტონზე იაპონიის ავიაციის თავდასხმის შედეგად 27 სექტემბერს დილით მოჰკლეს და დასჭრეს 80 კაცი, უმეტესად რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე სახლების მცხოვრებნი. ერთი ყუმბარა დაეცა რკინიგზის სახელოსნოს, სადაც მოკლულია რამდენიმე მუშა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ შამინის რაიონს, სადაც უცხოელები ცხოვრობენ, სწვდებოდა იაპონელთა თვითმფრინავების ტყვიამფრქვევთა ტყვიები.

რეიტერის სააგენტოს ნანკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელთა თვითმფრინავები 27 სექტემბერს შუადღისას ხელმეორედ უშენდნენ ყუმბარებს ნანკინსა და პუკოუს. იაპონელი მფრინავები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პუკოუს სადგურს. ორივე თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდა თორმეტ-თორმეტი თვითმფრინავი. ყუმბარები ესროლეს აგრეთვე ჩინეთის სამხედრო გემებს, რომლებიც მდინარეზე იდგნენ.

იაპონიის ჯარების წინსვლა შეჩერებულია

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იაპონიის ჯარების წინსვლა ბეიპინ-ხანკოუს და ტიანძინ-პუკოუს რკინიგზებზე შეჩერებულია. იაპონური ნაწილები ამჟამად ძირითად ყურადღებას უთმობენ თავიანთი ფრონტის ხაზის გამაგრებას ამ რკინიგზებს შუა და უტევენ ცანჯოუს დასავლეთით მყოფ ჩინელთა ნაწილებს.

აგრესორის გაუგონარი მხეცობა

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება იაპონიის წყალქვეშა ნავის მიერ სამხრეთ ჩინეთის წყლებში ჩინელ მშვიდობიან მეთევზეთა მასობრივი მხეცური დახოცვის ახალი გაუგონარი ფაქტის შესახებ. 22 სექტემბერს ძილონკოუს (ჰონკონგის მახლობლად) რაიონში იაპონიის წყალქვეშა ნავი თავს დაესხა ჩინელ მეთევზეთა ნავებს, რომელნიც მშვიდობიანად თევზაობდნენ. ნავებში იყო 200 მეთევზე, აგრეთვე მათი ოჯახები—100 ქალი და ბავშვი. წყალქვეშა ნავი მიუახლოვდა ნავებს, აუტეხა სროლა და ზედიზედ დაუწყო ჩაძირვა. დაჭრილი მეთევზეები ბედის ანაბარა დასტოვეს. იაპონელთა პირატობის შედეგად დაიღუპა 290 კაცი, მათ შორის 100 ქალი და ბავშვი.

გადარჩა ათი მეთევზე, რომელთა უმეტესობა დაჭრილია. ისინი გაგზავნეს ჰონკონგის ჰოსპიტალში. ინგლისის პოლიცია ჰონკონგში შეუდგა იაპონელთა წყალქვეშა ნავის ამ პირატული თავდასხმის გამოძიებას, ვინაიდან ჩაძირულ ნავებს შორის ბევრი რეგისტრირებულია, როგორც ინგლისური ნავი.

კანტონის ახალი ბომბარდირება

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 27 სექტემბერს, 9 საათსა და 15 წუთზე, იაპონიის 13 თვითმფრინავმა მოახდინა თავდასხმა კანტონზე. ბომბარდირების მთავარი ობიექტი კანტონ-ხანკოუს რკინიგზა იყო.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სადგურ ხუანშაში ჩაყრილმა ყუმბარებმა მრავალი სახლი დაანგრია. ბომბარდირების დროს სადგურზე ბევრი ხალხი იყო.

ესპანეთის ფრონტებზე

(პარიზიდან და ვალენსიიდან მიღებული ცნობებით).

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 26 სექტემბერს მთავრობის ჯარებმა იერიში მიიტანეს ფუენტე დე ებროსა და ერთ მაღლობზე ამ სოფლის დასავლეთით.

ჩრდილოეთის ფრონტი

26 სექტემბერს მეამბოხეებმა არტილერიისა და ავიაციის დახმარებით მთელი რიგი იერიშები მიიტანეს კაბრალესის სექტორში და დაიკავეს მთელი რიგი პუნქტები. სანაპირო სექტორში მეამბოხეებმა არტილერიის დახმარებით იერიში მიიტანეს რესპუბლიკური ჯარების პოზიციებზე. მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა რესპუბლიკელთა პოზიციებს ვეგა დე ვიელიასთან.

ცენტრალური ფრონტი

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის არტილერიამ კვლავ დაუშინა ყუმბარები ტოლედოს თოფხანას და სერიოზული ზიანი მიაყენა. ბომბარდირებამ სერიოზულად დააზიანა მდინარე ტახოს ხიდი.

ესპინოსა დე ენარესისა და ალმადრონესის რაიონში (გვადალახარის სექტორში) მოქმედებენ მზვერავი რაზმები.

მადრიდის ჩრდილოეთით რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა საფორტიფიკაციო ნაგებობებს პრადოს სექტორში.

სამხრეთის ფრონტი

26 სექტემბერს სამხრეთის ფრონტზე სიწყნარე იყო.

ინგლის-საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკების პროექტი

(ტელეფონით „პრავდის“ ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). მოელიან, რომ უახლოეს დღეებში ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები საერთო ნოტით მიმართავენ იტალიის მთავრობას ესპანეთში ინტერვენციის შესახებ, კერძოდ იქ უცხოელი „ვოლონტერების“ ყოფნის შესახებ.

29 სექტემბერს ნოტის პროექტს განიხილავენ ინგლისის კაბინეტის სხდომაზე. ამ ნოტაში, როგორც იუწყებიან, ორივე მთავრობა ოფიციალურად წინადადებას აძლევს იტალიას დაიწყოს სამმხრივი მოლაპარაკება ესპანეთიდან უცხოელი „ვოლონტერების“ გამოწვევის შესახებ.

ზოგიერთი ცნობით, იტალიის მთავრობას წინადადება მიეცემა გამოიწვიოს იტალიის ჯარები ესპანეთიდან იმ ინტერნაციონალური ბრიგადების გამოწვევასთან ერთად, რომელნიც ესპანეთის მთავრობის მხარეზე იბრძვიან. მაგრამ არის აგრეთვე იმის ნიშნები, რომ ამ საკითხის დედააზრის გამო საფრანგეთსა და ინგლისს შორის სრული შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ზოგიერთი, ჯერ კიდევ შეუმოწმებელი, ხმების მიხედვით, ნოტის შედგენისას აყენებდნენ აგრეთვე წინადადებას, რათა გამოსაწვევ იტალიელ ჯარისკაცთა რაოდენობა იმდენივე ყოფილიყო, რამდენიც ინტერნაციონალური ბრიგადების მეომრები უნდა გამოეწვიათ ესპანეთიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანკოს მხარეზე იტალიელთა ჯარების დიდი რიცხვი დარჩებოდა.

ინგლის-საფრანგეთის ახალი პროექტის აზრს ნაწილობრივ ფარდას ხდის „ნიუს ქრონიკლის“ სპეციალური კორესპონდენტი ვერნონ ბარტლეტი თავის მეტად საინტერესო კორესპონდენციაში ჟენევიდან:

„ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იმაში მდგომარეობს, — სწერს იგი, — რომ საფრანგეთის საზღვარი ისევ დახურული რჩება ესპანეთის მთავრობისათვის იმ მომენტში, როცა მას საჩქაროდ ესაჭიროება სამხედრო საჭურველი. ინგლის - საფრანგეთის ინიციატივას მხურვალედ მიესალმებოდნენ, ეს ზღუდე რომ დასაწყისშივე ყოფილიყო მოხსნილი, ვინაიდან მაშინ იტალიას მოუხდებოდა გაეწვია თავისი ლეგიონერები საზღვრის დახურვის მიღწევის მიზნით.

იმის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, თუ როგორ მიდის ამჟამად საქმეები, თვით იტალიის ინტერესს შეადგენს რაც შეიძლება უფრო გააჭიანუროს მოლაპარაკება „ვოლონტერების“ გამოწვევის შესახებ. არავის შეუძლია მოელოდეს, თითქოს ინგლის-საფრანგეთ-იტალიის კონფერენცია ერთბაშად შეიკრიბება და სწრაფად მიაღწევს წარმატებას. გაჭიანურება უეჭველია. ამასობაში გენერალ ფრანკოსათვის საჭირო საჭურველი შეიძლება მას მიაწოდონ საზღვაო გზით, მაგრამ არავითარი საჭურველი არ შეიძლება შეტანილ იქნას ესპანეთის მთავრობისათვის ხმელეთით.

სავსებით ცხადია, რომ ერთერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია წინადადება სამი სახელმწიფოს კონფერენციის შესახებ, იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან იქნას აცილებული იტალიისა და გერმანიის გამოცხადება აგრესორებად ერთა ლიგის მიერ, როგორც ამას ესპანეთი მოითხოვს.

ამ შეფასებას შეიძლება დაემატოს „მანჩესტერ გარდიენის“ ჟენეველი კორესპონდენტის ცნობა: საფრანგეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ სამმხრივი მოლაპარაკება იტალიასთან გაპირობებული უნდა ყოფილიყო იტალიელთა ჯარების წინასწარი გაწვევით ესპანეთიდან, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ინგლისის წინააღმდეგობას წააწყდაო.

ი. ერმაშევი.

ამხ. ეფრემ სურამელაშვილი

თბილისის აგურის № 2 ქარხნის სტახანოველი

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე

ერევანი, 26 სექტემბერი (საქდესი). სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ-ის პლენუმმა, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა, ამხილა, როგორც ხალხის მტრები, და გააძევა პარტიის რიგებიდან ც. კ-ის ყოფილი მდივნები ამატუნი და აკოპოვი. პლენუმზე ბოლომდე გამოაშკარავებულ იქნა მუშათა კლასის საქმის ამ მოღალატეთა, თვალთმაქცთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა საზიზღარი, მტრული მუშაობა, რომელნიც ხალხის საძაგელ მტრებთან, ბანდიტებთან — სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან გულოიანთან და სომხეთის სსრ ყოფილ შინსახკომთან მუკდუსისთან ერთად ერთ წელიწადზე მეტ ხანს განაგრძობდნენ სომხეთის კომპარტიის ც. კ-ის ყოფილი მდივნის მოღალატე ხანჯიანის ანტისაბჭოთა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პოლიტიკას.

თვითონ იყვნენ რა აქტიური მავნებლები, ხელს აფარებდნენ რა ხალხის მტრებს, მათ უდიდესი ზიანი მიაყენეს საბჭოთა სომხეთის სახალხო მეურნეობას, სომხეთის სოციალისტურ მშენებლობაში დაბანდებულ უდიდეს სახსრებს მავნებლურად იყენებდნენ.

საკავშირო მთავრობის მიერ გაღებული დიდი თანხები დაუქმებული რჩებოდა. მასების შემოქმედებითი ინიციატივას სტახანოვურ მოძრაობას ახშობდნენ. მავნებლურად გაჭიანურდა სომხეთში საკავშირო მნიშვნელობის ორი გიგანტის—სინთეზური კაუჩუკის კომბინატის, კანაკირის ჰიდროცენტრალის მშენებლობა, სადაც აგრეთვე მავნებლები მოქმედებდნენ. კომბინატი, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა მოეცა პირველი კაუჩუკი, დღემდე არ არის დამთავრებული.

მიწსახკომში მოკალათებული მტრები ცდილობდნენ შეეკვეცათ საკოლმეურნეო მშენებლობა, ცდილობდნენ ჩაეშალათ მიმდინარე წლის უმდიდრესი მოსავლის აღება, სწამლავდნენ თესლს, ამტვრევდნენ მანქანებს, ეწეოდნენ მავნებლობას სოციალისტური მეცხოველეობის დარგში, იწვევდნენ სახელმწიფო გეგმების ჩაშლას.

სამშობლოს მოღალატეთა ხროვა დაუსჯელად მოქმედებდა ფინსახკომში და ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. თავისი ყალთაბანდური მახინაციებით ხალხის ეს მტრები მილიონიან თანხებს ჰპარავდნენ სახელმწიფოს, უხეშად ამახინჯებდნენ ფასების საბჭოთა პოლიტიკას, უსაჭიროეს საქონელს არ აწვდიდნენ მთელ რაიონებს.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები, დაშნაკები, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები მოქმედებდნენ კულტურულ ფრონტზედაც, ნაციონალიზმის შხამით სწამლავდნენ რა ახალგაზრდობას. სომხეთის ყოფილი კონტრრევოლუციური ხელმძღვანელობა უხეშად ამახინჯებდა ლენინურ სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას აზერბეიჯანულ და რუსულ სოფლებში. ალაგ-ალაგ პარტიულ აპარატებში მიმალული პარტიის და ხალხის მტრები ფუშავდნენ პარტიელების მიერ ბოლშევიზმის დაუფლების საქმეს. სომხეთის ყოფილი კონტრრევოლუციური ხელმძღვანელობა არა თუ არ იბრძოდა ყველა ამ დანაშაულის წინააღმდეგ, არამედ, თვითონ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რა ამ მოღალატურ მუშაობაში, აშკარა მფარველობას უწევდა ხალხის მტრებს. თვითკრიტიკის თავხედური ჩახშობა, მლიქვნელობის წაქეზება, სრულიად დაუმსახურებელი „ავტორიტეტების“ გაზვიადება, „კადრების ნაკლებობაზე“, ხალხის გამოაშკარავებული მტრების „შეუცვლელობაზე“ პირფერული ღმუილი — ასეთი იყო ამატუნის, აკოპოვის და მათი დამქაშების ხელმძღვანელობის „სტილი“.

ც. კ-ის პლენუმმა, რომელიც დაიხურა, თავის წერილში სიტყვა მისცა სომხეთის ხალხის პირველ მეგობარს დიდ **სტალინს,** რომ სომხეთის კომპარტია ბოლომდე აღმოფხვრის სომხეთის ხალხის ყველა მტერს — დაშნაკებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, ტროცკისტ-ბუხარინელ ნაძირალებს.

სასამართლომ შეასრულა ხალხის ნება-სურვილი

(ბათუმი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

28 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, განახლდა აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს სხდომა აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა საქმეზე.

თავმჯდომარე ამხ. ჯინჭარაძე აქვეყნებს განაჩენს. განაჩენის კითხვა გრძელდება 1 საათსა და 15 წუთს.

ბათუმის საწარმოთა მუშები, აჭარის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომლებითაც გაჭედილია სასამართლოს დარბაზი, დაძაბული ყურადღებით ისმენენ საბჭოთა სასამართლოს განაჩენს ხალხის მტრებისა, ჯაშუშებისა, დივერსანტებისა და მავნებლების მიმართ, რომელთაც გაჰყიდეს თავისი ხალხის ინტერესები, ისწრაფოდნენ აყვავებული საბჭოთა აჭარა გადაექციათ უცხოეთის სახელმწიფოს კოლონიად, აჭარელი ხალხისათვის დაედგათ კაპიტალისტების, კულაკების, ბეგებისა და აღალარების უღელი და რომლებიც მოქმედებდნენ უცხოეთის დაზვერვის მითითებით.

სასამართლომ ყველა ბრალდებულთა მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა:

ზექერია ლორთქიფანიძეს—აჭარის ასსრ ცაკის ყოფილ თავმჯდომარეს, ჯემალ ქიქავას — „აჭარვაჭრობის“ ყოფილ თავმჯდომარეს, გიორგი რამიშვილს — აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ილიას მეგრელიძეს—აჭარის მიწათმოქმედების ყოფილ სახალხო კომისარს, გრიგოლ ლაღიძეს—დამცველთა კოლეგიის ყოფილ წევრს, ქიაზიმ ბასილაძეს—სასოფლო სამეურნეო ბანკის აჭარის განყოფილების ყოფილ მმართველს, სულეიმან ბეჟანიძეს — ხულოს რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს და ოსმან რომანაძეს — ცხავროკის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს სასჯელის უმაღლესი ზომა—**დახვრეტა, ქონების კონფისკაციით;**

ჰასან ძნელაძეს — საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის ყოფილ მოადგილეს, ჰასან ჩალ-ოღლის—სოფ. თოთალ-ოღლის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს—**ათ-ათი წლით პატიმრობა თვითეულს, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით სამოქალაქო უფლებების აყრით;**

ოსმან ვანაძეს — სოფ. ვანაძეების კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს მიესაჯა **8 წლით პატიმრობა, სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.**

ღრმა კმაყოფილების გრძნობითა და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ განაჩენს სასამართლოს დარბაზში მყოფნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

26 სექტემბრის საღამოს სხდომა

მოწმე ოსმან მოწყობილის ჩვენება

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ 26 სექტემბრის დილის სხდომაზე დაამთავრა ბრალდებულთა დაკითხვა. საღამოს სხდომაზე დაიწყო მოწმეთა დაკითხვა.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე ოსმან მოწყობილი, რომელიც დაპატიმრებამდე აჭარის შინავაჭრობის სახალხო კომისარი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობდა საზღვარგარეთ--ტრაპიზონში კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის ერთხანს პარტიიდან გარიცხული იყო.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, რა დამოკიდებულებაში იყავით ბრალდებულ ჯემალ ქიქავასა და ზექერია ლორთქიფანიძესთან. როდის ჩაებით კონტრრევოლუციურ დივერსიულ - ფაშისტურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში?

მოწყობილი — ჯემალ ქიქავამ იცოდა, რომ მე საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილო ვიყავი. მან ეს მომენტი მოხერხებულად გამოიყენა. ქიქავამ მითხრა, აჭარაში არსებობს ეგრეთწოდებული „აჭარის განმათავისუფლებელი“ ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს აჭარა საქართველოს ჩამოაშოროს და უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს შეუერთოსო. ამავე დროს წინადადება მომცა მემუშავნა ამ ორგანიზაციაში. მე ამაზე დავეთანხმე და მივიღე დავალებანი: მავნებლობის გზით კოლმეურნეობების დაშლა, საჯანყებო ჯგუფების მოწყობა და კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ახალ წევრთა ჩაბმა. ქობულეთში მე ჩამოვაყალიბე კონტრრევოლუციურ - ტერორისტული კომიტეტი, რომელშიაც ჩავაბი 24 კაცი. 1936 წლის ბოლოს ზექერია ლორთქიფანიძემ გამომიძახა თავის კაბინეტში და მითხრა, იმისათვის, რომ აჭარის ტერორისტულ - ჯაშუშურ ცენტრს უფრო მეტი საფუძველი ჰქონდეს, საჭიროა სოფლად მავნებლობა ვაწარმოოთო.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, ვინ იყო საჯანყებო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და რა მეთოდით ეწეოდა მუშაობას ეს ორგანიზაცია.

მოწყობილი — საჯანყებო ორგანიზაციის ხელმძღვანელები იყვნენ ზექერია ლორთქიფანიძე და ჯემალ ქიქავა. 1936 წლის ოქტომბერში ზექერია ლორთქიფანიძის ბინაზე მე დავესწარი ამ კომიტეტის კრებას. კრებაზე ირჩეოდა სამხედრო და საჯანყებო საკითხები. მე დამავალეს მეწარმოებინა მავნებლობა ქობულეთის რაიონში და მომეწყო საჯანყებო ჯგუფები.

თავმჯდომარე — რამდენი კაცი ჩააბით კონტრრევოლუციურ დივერსიულ - ჯაშუშურ ორგანიზაციაში?

მოწყობილი — 24 კაცი. აქედან ზოგიერთების გვარებსაც მოგახსენებთ: ორგანიზაციაში მე ჩავაბი ხასან და მამედ მოწყობილები, ჩალოღლი, ხალვაში, სარგის ნაკაიძე, ი. ცეცხლაძე, მ. ცეცხლაძე, რამის ბერულიძე, ახმედ დუმბაძე, გოგიტაძე, თავბერიძე, ნემსაძე და სხვ. ამჟამად ბრალდებულმა ძნელაძემ ერთხელ მითხრა, ჩვენი ორგანიზაცია კარგად მუშაობსო. ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობაში 1.000 ჰექტარზე ვრცელდება მავნებლობაო.

თავმჯდომარე — რას იტყვით თქვენს ტერორისტულ ორგანიზაციაში პორტფელების განაწილების შესახებ?

მოწყობილი — პორტფელების განაწილება მოხდა აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის თათბირზე, რომელიც 1936 წლის დამლევს მოეწყო ზექერია ლორთქიფანიძის ბინაზე. ამ თათბირზე მე „მომავალი მთავრობის“ განათლების მინისტრად გამომყვეს.

თავმჯდომარე — როგორც იცით, თქვენ ამ პროცესზე მოწმედ ხართ გამოძახებული, მოახსენეთ სასამართლოს ბრალდებულ ჯემალ ქიქავას ტერორისტულ - ჯაშუშური და მავნებლური მუშაობის შესახებ.

მოწყობილი — ჯემალ ქიქავამ „მომავალ მთავრობაში“ პორტფელების განაწილებისას სამხედრო მინისტრის თანამდებობა მიიღო. მე რამდენადაც ვიცი, ბრალდებულმა ქიქავამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაითრია მთელი რიგი მომუშავეები და მავნებლობა გასწია უმთავრესად სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნეობათა დაშლის მიზნით. ქიქავამ დიდი მავნებლობა ჩაატარა ვაჭრობის დარგში. ის ამახინჯებდა საბჭოთა სავაჭრო პოლიტიკას, ორგანიზაციაში ჰყავდა ჩათრეული არტელებისა და მაღაზიების გამგეები, როგორიცაა სიხარულიძე, ზიინაბ ჰუონია და სხვ.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კაპანაძე — რას იტყვით ბრალდებულ ძნელაძის მუშაობის შესახებ?

მოწყობილი —ბრალდებული ძნელაძე ხელმძღვანელობდა ქობულეთის საჯანყებო ჯგუფებს და ძირს უთხრიდა კოლმეურნეობებს. როცა მე ბათუმიდან ქობულეთში მანქანით ჩავიდოდი, ის მაძლევდა ინფორმაციას მავნებლური საქმიანობის შესახებ, და მაბარებდა ანგარიშს, რასაც შემდეგ მე ზექერია ლორთქიფანიძეს ვაცნობდი.

კაპანაძე — როგორ, რა მეთოდით და რა პიროვნებებს აბამდით კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში?

მოწყობილი — ორგანიზაციაში ვაბამდი იმ პირებს, რომლებთანაც უფრო დაახლოვებული ვიყავი. წინასწარ ვგებულობდი მათ განწყობილებებს და დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გარდა ამისა, ვეძებდი პარტიიდან გარიცხულებს, ყოფილ კულაკებს, ვაჭრებს, მენშევიკებს და ანტისაბჭოთა ელემენტებს. დაპატიმრებამდე მოვასწარი მხოლოდ 24 კაცის ჩაბმა.

კაპანაძე — მოახსენეთ სასამართლოს, ვისგან მიიღეთ თანხები კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საჭიროებისათვის და რამდენი?

მოწყობილი — ზექერია ლორთქიფანიძისაგან მივიღე 5.000 მანეთი, რაც არავისთვის არ მიმიცია და პირადად მე დავხარჯე.

კაპანაძე — რატომ მარტო თქვენ დახარჯეთ, რატომ არ გაუნაწილეთ თქვენს ამხანაგებს?

მოწყობილი — პირადად მე უფრო მჭირდებოდა.

კაპანაძე — პირველად რომ კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩაებით, ვისთან გქონდათ საუბარი?

მოწყობილი — ზექერია ლორთქიფანიძე მელაპარაკა მავნებლობაზე, ხოლო ჯემალ ქიქავამ გამაცნო ორგანიზაციის გეგმა და მომცა დავალებები.

კაპანაძე — (ეკითხება ბრალდებულ ლორთქიფანიძეს) რატომ მიეცით მოწყობილს თავისი პირადი საჭიროებისათვის 5.000 მანეთი, როცა, როგორც თქვენ დაკითხვის დროს განაცხადეთ, ხულოს და ქედის რაიონების კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის არაფერი არ მიგიციათ?

ლორთქიფანიძე — ქედისა და ხულოს კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელებს მე სხვადასხვა დროს მივეცი საკმაოდ დიდი თანხა. კერძოდ, ბეჟანიძეს ჩემგან მიღებული აქვს რამდენიმე ათასი მანეთი.

მოწმე დავით ძნელაძის ჩვენება

თავმჯდომარე — დაპატიმრებამდე სად მუშაობდით?

ძნელაძე — დაპატიმრებამდე მე ვიყავი აჭარის მიწათმოქმედების კომისრის მოადგილედ.

თავმჯდომარე — როდის და რა პირობებში ჩაებით კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში?

ძნელაძე — 1936 წლის დასაწყისში გადამიბირა ილიას მეგრელიძემ, მისივე დავალებით მე კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩავაბი ხულოს რაიმიწგანის გამგე ნური გამრეკელიძე, ზოოტექნიკოსი ბეჟანიძე, ქედიდან ზექერია ბერიძე და სხვ. ილიას მეგრელიძემ მე დამავალა ხულოს რაიონში როგორც მეცხოველეობის, ისე მემინდვრეობის კოლმეურნეობებში მავნებლობის გაწევა და მათი დაშლა. ეს დავალება მივიღე და შევუდექი მის განხორციელებას. კოლმეურნეობებში ჩავშალე შრომის ორგანიზაცია, ხელი შევუწყე მუშა-საქონლის განადგურებას და სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩაშლას. ხულოს რაიონის სოფელ ორჯობის კოლმეურნეობაში ჩემი მავნებლური მითითებით 16 სული საქონელი დახოცეს. გამრეკელიძისაგან გავიგე, რომ ამავე სოფლის კოლმეურნეობა დაიშალა. იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სჭირდებოდათ, ჩვენ ვაძლევდით მავნებლურ გეგმას, ძირს ვუთხრიდით მათ. ქედის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს თამბაქოს დარგში მავნებლური გეგმა მივეცით, რის გამო საგრძნობლად დაეცა მოსავლიანობა, შემცირდა შრომადღის ღირებულება და კოლმეურნეებმა უმნიშვნელო შემოსავალი მიიღეს. თამბაქოს გეგმის ჩაშლის მიზნით თამბაქოს ფოთლის საშრობებს არ ვაშენებდით. ჩვენი მავნებლური მუშაობის გამო, თამბაქოს დამზადების შარშანდელი გეგმა ჩაიშალა.

თავმჯდომარე — რას წარმოადგენდა სამეული?

ძნელაძე — ხულოს კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სამეული, რომელშიაც შევდიოდით მე, მეგრელიძე და გამრეკელიძე.

თავმჯდომარე — ვინ არის ჭვაჭაძე?

ძნელაძე — ზოოტექნიკოსი. ეგრეთწოდებული სამეული ხელმძღვანელობდა ხულოს რაიონში მავნებლობას. ჩვენს მიზანს შეადგენდა კოლმეურნეობების დაშლა და კულაკური მეურნეობის აღდგენა.

თავმჯდომარე — ვინ ჩააბით კონტრრევოლუციურ - საჯანყებო ორგანიზაციაში?

ძნელაძე — შ. თურმანიძე, ბოლქვაძე, ზექ. ბერიძე, თურქოშვილი და სხვ. ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში კონტრრევოლუციური ჯგუფების შედგენას ხელმძღვანელობდა ამჟამად ბრალდებული ილიას მეგრელიძე.

თავმჯდომარე — რას იტყვით რამიშვილის შესახებ?

ძნელაძე — ილიას მეგრელიძემ გადმომცა, საუბარი მქონდა გიორგი რამიშვილთან, რომელმაც მითხრა, რომ აუცილებელია მავნებლობა, კოლმეურნეობებში აღრიცხვის ჩაშლა და მოსავლიანობის რაც შეიძლება შემცირებაო. გარდა ამისა, ინდივიდუალურ მეურნეებს ვაძლევდით თამბაქოს დამზადების შემცირებულ გეგმას და ხელს ვუწყობდით კერძო საკუთრებაში მყოფი საქონლის განადგურებას. კოლმეურნეობა „ახალ სხივს“ გასულ წელს მივეცით თამბაქოს დამზადების მავნებლურად შედგენილი გეგმა, რომელიც ვერ შესრულდა. მოსავალი განადგურდა და კოლმეურნეობა დაშლის გზას დაადგა.

თავმჯდომარე—(ეკითხება ბრალდებულ ილიას მეგრელიძეს) ადასტურებთ თუ არა ამას?

მეგრელიძე — სავსებით ვადასტურებ.

კაპანაძე — რომელ კოლმეურნეობაში გაატარეთ უფრო მეტი მავნებლური მუშაობა?

ძნელაძე — ყველაზე მეტი მავნებლური მუშაობა გავატარეთ ხულოს რაიონის მეცხოველეობის ორ და მემინდვრეობის სამ კოლმეურნეობაში.

კაპანაძე — ჯანსაღი მუშა-საქონლის მავნებლურად დაკვლის შესახებ რას იტყვით?

ძნელაძე — ინდივიდუალურ მეურნეებს ჩვენ ვაძლევდით ყალბ საბუთებს, ჯანსაღ საქონელზე ვუდგენდით ავადმყოფი საქონლის მოწმობებს და ამით ხელს ვუწყობდით პირუტყვის განადგურებას.

მოწმე გარო ალამჯანოვის ჩვენება

თავმჯდომარე — სად მუშაობდით დაპატიმრებამდე?

ალამჯანოვი — დაპატიმრებამდე ვიყავი ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორად.

თავმჯდომარე — სად, როგორ და რა პირობებში დაუკავშირდით ბრალდებულ გიორგი რამიშვილს და როდის ჩაებით კონტრრევოლუციურ დივერსიულ - ტერორისტულ ორგანიზაციაში?

ალამჯანოვი — ბრალდებული გიორგი რამიშვილი გავიცანი ჯერ კიდევ 1929 წელს ახალციხეში. 1936 წელს რამიშვილმა ჩამაბა კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში. თავის კაბინეტში ის დიდხანს მესაუბრა ამ ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე და დავალებები მომცა. გასული წლის დეკემბერში რამიშვილმა გამომიძახა თავის კაბინეტში და წინადადება მომცა — გამეტარებინა მავნებლური მუშაობა თამბაქოს ფაბრიკაში, რაც მე შევასრულე. სამქროებს შორის დისპროპორცია მოვაწყე. სამქროებს მავნებლური გეგმები შევუდგინე, რის შედეგადაც მათი მუშაობა ჩავშალე. რამიშვილის დავალებით — ეს იყო 1937 წლის აპრილში — მე და სერგო მანაგაძეს ერთად უნდა გამოგვენახა ტერორისტი, რომელიც მოახდენდა ტერორისტულ აქტს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას მიმართ. მანაგაძის სახლში გვქონდა ამაზე საუბარი, მაგრამ იმ წუთებში, ტერორისტად რომ გამოგვდგომოდა, ისეთი კაცი ვერ გამოვნახეთ. რამიშვილის დავალებით მე და მანაგაძეს უნდა გვეშოვნა რამდენიმე რევოლვერი. გიორგი რამიშვილი რომ თბილისში გადაიყვანეს, იქ ვინახულე, მაშინ რამიშვილი ავად იყო და ლოგინში იწვა. ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდა, კარგად გამიმასპინძლდა და მელაპარაკა ტერორისტულ აქტზე, რას შვრებით შენ და მანაგაძე, შეარჩიეთ კანდიდატი თუ არაო. მე ვუპასუხე — ჯერჯერობით არა, მაგრამ ამ დღეებში უეჭველად გამოვნახავთ-მეთქი.

მიმდინარე წლის აპრილის შუა რიცხვებში აჭარის პარტორგანიზაციაში გიორგი რამიშვილი დაამუშავეს, როგორც მავნებელი. მე ამან ძალიან შემაშინა.

თავმჯდომარე — (ეკითხება გიორგი რამიშვილს) ეთანხმებით თუ არა მოწმე ალამჯანოვის ჩვენებას?

რამიშვილი — ძირითადად ვეთანხმები, მხოლოდ იმ ნაწილში არა, სადაც ის ამბობს, რომ რამიშვილმა 1936 წელს ჩამაბა კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ორგანიზაციაშიო. 1936 წელს კი არა, ის მე უფრო ადრე, 1935 წელს ჩავაბი ამ ორგანიზაციაში, როცა ის აჭარკოოპკავშირის თავმჯდომარედ იყო, მას დავალებები მივეცი და ამ ორგანიზაციაში მავნებლობას ეწეოდა. ტერორისტული აქტის შესახებ პირადად მე მქონდა მასთან საუბარი, და არა მანაგაძეს.

მოწმე ოსმან კონცელიძის ჩვენება

თავმჯდომარე — სად მუშაობდით დაპატიმრებამდე?

კონცელიძე — დაპატიმრებამდე ვმუშაობდი აჭარის ჯანმრთელობის სახ. კომისრად.

თავმჯდომარე — იცნობთ თუ არა ბრალდებულ ჯემალ ქიქავას?

კონცელიძე — ჯემალ ქიქავას 1915 წლიდან ვიცნობ. კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ მუშაობაში მას 1933 წელს დავუკავშირდი, ამავე წელს ჯემალ ქიქავა და სულეიმან ზაქარიაძე მოვიდნენ ჩემთან და მკითხეს: როგორ მოგწონს საბჭოთა ხელისუფლება და როგორ უყურებ მის არსებობასო? შემდეგ, გამაცნეს აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გეგმები და წინადადება მომცეს გავმხდარვიყავ ამ ორგანიზაციის წევრი. მათი წინადადება მივიღე და მუშაობაში ჩავები. დავალება მომცეს მეწარმოებინა მავნებლური მუშაობა ჯანმრთელობის ხაზით. ამ მოლაპარაკების შემდეგ ერთი თვე გავიდა და ჩემთან მოვიდა ჯემალ ქიქავა. მკითხა: რას აკეთებ, კაცო, ჩვენს დავალებას ასრულებ თუ არაო? მე ვუპასუხე, შეძლებისდაგვარად ვასრულებ-მეთქი. ჯერჯერობით მავნებლურად გავაჭიანურე ხელფასის გაცემა და შიაფერზე საშტამპო სახელოსნოს მშენებლობა-მეთქი. ამ სახელოსნოს მოწყობის გაჭიანურებით აჭარის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ 20.000 მანეთი იზარალა. ქიქავამ მითხრა, რომ აჭარაში არსებობს ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც ზექერია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს, ჩვენი მოვალეობაა —მას ხელი შევუწყოთო. ამ მიზნით მან დამავალა ეპიდემია გამევრცელებინა სოფლად. 1937 წელს თავი იჩინა წითელას ეპიდემიამ ჩაქვსა და სალიბაურში. მე შემეძლო ის იქვე გამექრო, მაგრამ არ გავგზავნე ექიმები, არ მივაქციე არავითარი ყურადღება, ეპიდემია მოედო სოფლებს და ბევრი ბავშვი იმსხვერპლა. გარდა ამისა, ხულოში ჩავშალე საავადმყოფოს და საბავშვო ბაგის მშენებლობა, სალიბაურში — საბავშვო ბაგისა და ბაღისა. ასევე ვშლიდი ჯანმრთელობის ხაზით მშენებლობას სხვა რაიონებშიაც.

თავმჯდომარე — ვინ დაგავალათ ყველაფერი ეს, ვისი მითითებით ეწეოდით მავნებლობას?

კონცელიძე — ჯემალ ქიქავას დავალებითა და მითითებით. მე დავალებული მქონდა, გარდა მავნებლობისა, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩამეთრია ექიმებიც, რაც შევასრულე. დაპატიმრებამდე მოვასწარი 5 ექიმის ჩაბმა. მავნებლობის მიზნით, პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში გამოცდილ ექიმებს არ ვგზავნიდი; ვისაც ცხვირის ექიმი სჭირდებოდა, იმას შინაგან სნეულებათა ექიმს ვუგზავნიდი.

კაპანაძე — ხულოს რაიონში რამდენი საექიმო პუნქტია?

კონცელიძე — თექვსმეტი, სადაც 16 ექიმი უნდა მუშაობდეს, მაგრამ მე იქ ექიმებს არ ვგზავნიდი და ამ 16 პუნქტში მხოლოდ სამი ექიმი მუშაობდა.

კაპანაძე — კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - ფაშისტური ორგანიზაციისათვის რა თანხა გაქვთ მიღებული?

კონცელიძე — ერთხელ მივიღე 350 ლირა, შემდეგ დოლარები, მაგრამ არ მახსოვს რამდენი, და რამდენიმე ათასი მანეთი საბჭოთა ფული. მე დავალებული მქონდა უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან გამება კავშირი. ჯემალ ქიქავამ მომცა ერთი ათასი მანეთი. ჩვენ სხდომა გვქონდა უცხოეთის დაზვერვის აგენტთან ერთად პირველად ჯემალ ქიქავას ბინაზე. ამ სხდომას გვარელოღლიც ესწრებოდა, მეორედ—გვარელოღლის სახლში, ხოლო მესამედ ჩემთან. დაზვერვის აგენტმა მითხრა, აჭარის კონტრრევოლუციურ დივერსიულ - მავნებლურ ორგანიზაციას ჩემგან ამდენიდაამდენი მანეთი აქვს მიღებული, კიდევ ათ და ას იმდენს მიიღებთ, თუ კარგად და მედგრად იმუშავებთო.

თავმჯდომარე—(ეკითხება ბრალდებულ ქიქავას) ეთანხმებით თუ არა მოწმე კონცელიძის ჩვენებას?

ქიქავა — სავსებით ვეთანხმები. მხოლოდ უნდა განვმარტო, რომ უცხოეთის დაზვერვის აგენტთან ჩვენ კავშირი გვქონდა კონცელიძის მეუღლის საშუალებით. კონცელიძეს მე გადავეცი ერთხელ ხუთასი ლირა, მეორედ — სამასი და მესამედ—5.000 მანეთი საბჭოთა ფული. მე კი ზექერია ლორთქიფანიძემ სამხედრო ჯგუფებისათვის მომცა 17 ათასი მანეთი.

მოწმე ნური გამრეკელიძის ჩვენება

აჭარის კონტრრევოლუციური ტერორისტულ - დივერსიული ორგანიზაციის პროცესზე მოწმედ გამოძახებული ნური გამრეკელიძე დაპატიმრებამდე ხულოს რაიონის მიწგანის გამგედ იყო.

თავმჯდომარე — ვისთან უფრო იყავით დაკავშირებული კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ მუშაობაში?

გამრეკელიძე — ზექერია ლორთქიფანიძესთან.

თავმჯდომარე — რა იცით ბეჟანიძის მავნებლური მუშაობის შესახებ?

გამრეკელიძე — კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩამაბა ზექერია ლორთქიფანიძემ და დამავალა — ჩამება ამ ორგანიზაციაში ის პირები, რომლებზეც თვითონ მიმითითებდა. ამავე დროს დამავალა ჩამეტარებინა კოლმეურნეობებში მავნებლური მუშაობა. 1936 წელს ხეხილის ნერგი მივიღეთ კოლმეურნეობებისათვის დასარიგებლად. მაგრამ, მავნებლობის მიზნით, ნერგის დარიგება 3-4 დღით გავაჭიანურე და 150 ძირი გამხმარი ნერგი ძალით მივყიდე კოლმეურნეებს. ხულოს რაიონში, როგორც ვიცით, არის მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები („ტოზები“); სას.-სამ. არტელის წესდებაზე მათი გადაყვანისათვის დიდი მუშაობაა საჭირო. მე არავითარი წინასწარი მუშაობა არ გამიწევია, ისე გადავიყვანე ეს ამხანაგობები სას.-სამ. არტელის წესდებაზე; რადგან წინასწარ ნიადაგი არ იყო მომზადებული, ეს კოლმეურნეობები სულერთიანად დაიშალა. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა წაბლიანის, ლიკეთის, აგარის და ვანაძეების სოფლებში. მე დავშალე ორი სასოფლო-სამეურნეო არტელი, ხოლო ამჟამად ბრალდებულმა ბეჟანიძემ დაშალა სოფელ დანისპირეულის, ალაზრის და რიყეთის კოლმეურნეობები. გარდა ამისა, ჩემი მავნებლური მუშაობა გამოიხატებოდა კოლმეურნეობებში გეგმების დაშვების ხელოვნურად გაჭიანურებასა, მესაქონლეობის განვითარების შეფერხებასა და მრავალწლიანი ბალახების არა თავის დროზე თესვაში. მიწსახკომის მომუშავენი, რომლებიც ზექერია ლორთქიფანიძეს და ილიას მეგრელიძეს ჰყავდათ გადაბირებული, ხელოვნურად აგვიანებდნენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიათა გეგმების დაშვებას. ამის გამო მარცვლეულ კულტურებს გვიან ვთესდით და მოსავლიანობა მცირდებოდა.

ზექერია ლორთქიფანიძემ ერთხელ თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა: თუ სადმე რამე წამოგცდენია, ლამფასავით გაგაქრობო. ზექერია ლორთქიფანიძემ ტერორი დამინიშნა. ერთ დღეს მოვიდა ჩემს სახლში მისი სიმამრი ოსმან დავითაძე და მითხრა: შენ რაღაც განზე დადიხარ, ცუდი არაფერი გაბედო, თორემ სულს გაგაცხებინებო. როგორც ცნობილია, ოსმან დავითაძე არის რამოდენიმე კაცის მკვლელი. მან დაჭრა ქათიბ-ოღლი და ვიღაცას მოაკვლევინა სოფელ გოგაძეებში მცხოვრები ორი კაცი.

მე, ბეჟანიძე და გვარელ-ოღლი ვეწეოდით კოლმეურნეობებში მავნებლობას. გვარელ-ოღლიმ ჩამოაყალიბა სოფელ გოგაძეებში სასოფლო-სამეურნეო არტელი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ის მავნებლურად ისევ დაშალა.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით მე ვაბამდი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ანტისაბჭოთა ელემენტებს. ხულოს რაიონში ჩემს მიერ ჩაბმულია ორგანიზაციაში ახმედ ბოლქვაძე, ზოიძე, სურმანიძე, ოსმან აღა დავითაძე და სხვ.

თავმჯდომარე — რას იტყვით სოფელ აგარაში გაწეულ მავნებლური მუშაობის შესახებ?

გამრეკელიძე — სოფელ აგარაში სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოყალიბდა სეიმ გვარიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ილიას მეგრელიძის დავალებით ეს არტელი მანვე დაშალა. არ არის საიჭვო ის მდგომარეობა, რომ ჩვენს მიერ ხულოს რაიონში გაწეული მავნებლობა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მშრომელ გლეხობაში.

თავმჯდომარე—(ეკითხება ბრალდებულ ლორთქიფანიძეს) ეთანხმებით თუ არა ნური გამრეკელიძის ჩვენებას?

ლორთქიფანიძე — მე ვაძლევდი მას მავნებლურ დავალებას, ის კი პირნათლად ასრულებდა, ხოლო რაც შეეხება ტერორს, ეს არ არის სწორი. რაში მჭირდებოდა მე ტერორის მოწყობა ჩემი ნათლულის ნური გამრეკელიძის წინააღმდეგ, როცა ის ჩემს დავალებებს პირნათლად ასრულებდა. მე მის მუშაობაში ეჭვი არ შემპარვია.

თავმჯდომარე — ვინ შედიოდა სულეიმან ბეჟანიძის კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ ჯგუფში?

გამრეკელიძე — გუსნი და მემედ თურმანიძეები, ოსმან ლორთქიფანიძე, ჰასან წულუკიძე და სხვ.

თავმჯდომარე — ვინ ჩააბით კონტრრევოლუციურ მუშაობაში?

გამრეკელიძე — ხიმშიაშვილი, მიქელაძე, ვარშამიძე, დავითაძე, გვალაძე.

კაპანაძე — ხეხილის ნერგს თქვენ მავნებლურად აფუჭებდით, არა?

გამრეკელიძე — რასაკვირველია, ვაფუჭებდით, მაგრამ ამაში დიდი შრომა არ გვეხარჯებოდა, რადგან მიწსახკომიდან ილიას მეგრელიძე გვიგზავნიდა ნახევრად გამხმარ ნერგებს, ჩვენ მას კიდევ მავნებლურად 3-4 დღეს ვინახავდით საწყობში და უფრო ხმებოდა.

კაპანაძე — რას იტყვით სილოსის შესახებ?

გამრეკელიძე — მიწსახკომის სპეციალისტები ძალით აფუჭებდნენ სილოსს.

კაპანაძე — რას იტყვით მესაქონლეობაში მავნებლობის შესახებ?

გამრეკელიძე — მესაქონლეობაში მავნებლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ყალბ მოწმობებს ვაძლევდით ერთპიროვნულ მეურნეებს საქონლის გაყიდვის შესახებ. გარდა ამისა აჭარმიწსახკომის ხულოს მესაქონლეობის ფერმაში ხელს ვუწყობდით პირუტყვის დახოცვას. შვეიცური ჯიშის ძროხები იყვნენ დაავადებულნი, მაგრამ ჩვენ მათ არ ვმკურნალობდით, ავადმყოფობა იწვევდა ინფექციურ აბორტს და მშრომელი გლეხობის თვალში სახელი უტყდებოდა ჯიშიან საქონელს. გასულ წელს ამ ფერმაში 18 სული პირუტყვი დაიხოცა, ხოლო ჩვენს მიერ გაცემულ ყალბ მოწმობებით ერთპიროვნულმა გლეხებმა 150 სული მუშა-საქონელი გაანიავეს.

კაპანაძე — მოახსენეთ სასამართლოს კოლმეურნეობებში სტალინური წესდების დამახინჯების შესახებ.

გამრეკელიძე — კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა სტალინური წესდების დარღვევას. ზოგიერთი კოლმეურნეები განზოგადოებულ მუშა-საქონელს თვითნებურად ჰყიდდნენ, მაგრამ ჩვენ მას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით.

დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. ტურძილაძე — მოახსენე სასამართლოს, თუ ზექერია ლორთქიფანიძემ ტერორი დაგინიშნა, რატომ არ განაცხადე სათანადო ორგანოებში?

გამრეკელიძე — მეშინოდა და იმიტომ.

მოწმე მამედ ყურშუბაძის ჩვენება

თავმჯდომარე — როგორც მოგეხსენებათ, თქვენ ამ პროცესზე გამოძახებული ხართ მოწმედ. მოახსენეთ სასამართლოს როდის და რა პირობებში ჩაებით კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ორგანიზაციაში და რა იცით ბრალდებულთა მავნებლურ - დივერსიული მუშაობის შესახებ?

ყურშუბაძე — მე კავშირი მქონდა ხასან ძნელაძესა და ოსმან მოწყობილთან. 1937 წლის დასაწყისში ოსმან მოწყობილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით უნდა გადმოგცე, რომ აჭარაში არსებობს მეამბოხეთა ორგანიზაცია, სადაც კომისრების უმრავლესობა გაერთიანებულია. შენც უნდა გახდე ამ ორგანიზაციის წევრი და ჩვენთან ერთად სოფლის მეურნეობაში უნდა გაატარო მავნებლობაო. აგრეთვე მითხრა, რომ ამ ორგანიზაციის წევრია ხასან ძნელაძე და ის ხელმძღვანელობს ქობულეთის რაიონში ჯაშუშ-მავნებელთა ჯგუფსო. რამოდენიმე დღის შემდეგ მოწყობილის ნაამბობი გადავეცი საქ. კ.პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ყოფილ მდივანს ნუცუბიძეს, რომელმაც მითხრა, აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა მე ვიცი და შენ რასაც დაგავალებენ ამ ორგანიზაციის წევრები, უნდა პირნათლად შეასრულოო. ამის შემდეგ მე სრულიად შეგნებულად ჩავები კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და დავიწყე მავნებლური საქმიანობა. ჩაის კოლმეურნეობებში რომ მავნებლობა გამეწია, ამისთვის საჭირო იყო „საქჩაის“ ქობულეთის კანტორის მმართველი გრიშა თევზაძეც ჩაგვება მავნებლურ მუშაობაში. ამის შესახებ მე ნუცუბიძეს მოველაპარაკე, რომელმაც მითხრა, შენ შენი ხაზით იმუშავე, გრიშა თევზაძისათვის მე პირადად მაქვს დავალება მიცემული და ის იმას შეასრულებსო.

მე ამ მავნებლურ ორგანიზაციაში უნდა ჩამება სანდო პირები.

თავმჯდომარე — რამდენი კაცი ჩააბით კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ყურშუბაძე — თორმეტი.

კაპანაძე — დაასახელეთ გვარი და სახელი?

ყურშუბაძე—მე ჩავაბი კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ორგანიზაციაში ილიას ფალავანდიშვილი, აბდულ დოლიძე, სულეიმან შავიშვილი, ოსმან მგელაძე, ომერი ფაღავა, ასლან კომახიძე, მეჯიდი ხახუტაშვილი, ოლიფანტე ჟღენტი და სხვ.

გარდა ამისა მე ვეწეოდი კოლმეურნეობებში მავნებლობას. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს რიცხვით 20 კომლს მავნებლურად გავუჭიანურე საკარმიდამო ნაკვეთის მიზომვა და შემდეგ როცა მივუზომე, უკვე დრო გასული იყო და ნაკვეთზე არაფრის დათესვა არ შეიძლებოდა. გარდა ამისა მე ჩაის პლანტაციების გადაბარვას ვაწარმოებდი მავნებლურად.

თავმჯდომარე — ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის შესახებ რას იტყვით?

ყურშუბაძე — ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში ხშირად დადიოდა ნუცუბიძე.

კაპანაძე — რას აკეთებდა?

ყურშუბაძე — ეწეოდა მავნებლობას. მე დამავალეს ილიას მეგრელიძის გადმობირება, რომელიც იმ ხანებში მუშაობდა ქობულეთის გურანის საბჭოთა მეურნეობაში. როცა მივედი მეგრელიძესთან და მოველაპარაკე, მან მითხრა, რომ მე უკვე ვმუშაობ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და გურანის მეურნეობაში ვეწევი მავნებლობასო. მეურნეობის პარტორგანიზაციამ მეგრელიძე როგორც მავნებელი და ტროცკისტი გარიცხა პარტიის რიგებიდან, მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ყოფილმა მდივანმა ნუცუბიძემ ის ბიუროზე დაიცვა და გარიცხვა საყვედურით შეუცვალა.

თავმჯდომარე — აჯანყების მომწყობ ორგანიზაციის შესახებ რას იტყვით?

ყურშუბაძე — ოსმან მოწყობილმა გადმომცა, რომ არსებობს აჯანყების მომწყობი ჯგუფები, რომლებიც გაცხოველებით ემზადებიან აჯანყებისათვის.

კაპანაძე — რას ისახავდით მიზნად?

ყურშუბაძე — აჭარის კონტრრევოლუციურ - დივერსიულ - ფაშისტური ორგანიზაცია, როგორც ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები, მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას, ე. ი. საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ხალხისთვის უნდა დაგვებრუნებინა ისევ მონობა, სიბნელე და შიმშილი.

27 სექტემბრის დილის სხდომა

მოწმე ილია თურქოშვილის ჩვენება

მოწმე **ილია თურქოშვილი** სოფელ ზემო ალვანიდანაა (თელავის რაიონი). იგი მუშაობდა ხულოს რაიონში ვეტერინარ ექიმად. სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ჯინჭარაძის შეკითხვაზე მან უჩვენა შემდეგი:

— 1935 წლის 13 მაისს მე, როგორც ახლად კურსდამთავრებული, გამომგზავნეს აჭარაში სავალდებულო პრაქტიკისათვის. აქ დავყავი სამი თვე. შემდეგ დავბრუნდი ერევანში, სადაც ვსწავლობდი, ხოლო იმავე წლის დეკემბერში, დავამთავრე რა სწავლა, გადმომგზავნეს აჭარის მიწსახკომის განკარგულებაში სამუშაოზე გასაგზავნად. ბათუმიდან გამგზავნეს ხულოში რაიონულ ვეტექიმად. იმ ხანებში ხულოში ჩამოვიდა მთავრობის კომისია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა აჭარის მიწსახკომის მოადგილე დავით ძნელაძე. იგი აქ გავიცანი.

დ. ძნელაძე უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ აჭარაში ყალიბდებოდა ახალ-ახალი კოლმეურნეობები. იგი ამბობდა, რომ აჭარაში არ არის პირობები საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, რომ გლეხები უკმაყოფილონი არიან, რადგან მათი მეურნეობა ამით ქვეითდებაო. შემდეგ მან ჩამომიგდო სიტყვა მესაქონლეობის შესახებ და მითხრა, რომ უფრო კარგი იქნება, თუ აჭარაში მოახდენენ საკოლმეურნეო ფერმების ლიკვიდაციასო.

მის ამ მოსაზრებებს არ ვეთანხმებოდი და ვეუბნებოდი,—ჯერ თუ სუსტია ჩვენი კოლმეურნეობები, მალე ისინი გაძლიერდებიან, ხოლო საკოლმეურნეო ფერმების ლიკვიდაცია ყოვლად დაუშვებელია-მეთქი. შემდეგ ვკითხე, რატომ იყო იგი საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგი. მან მიპასუხა: იმიტომ, რომ ახლა ასეა საჭიროო.

1936 წლის ნოემბერში ძნელაძე კვლავ ჩამოვიდა ჩემთან და უკვე აშკარად დამიწყო ლაპარაკი შეუდგომოდი მავნებლურ მუშაობას ამასთანავე დასძინა, რომ აჭარის მიწსახკომში არსებობს მავნებლური ორგანიზაცია და შენ, როგორც სპეციალისტი, უნდა შემოხვიდე ამ ორგანიზაციაშიო. მე დავეთანხმე. მაშინ მან დამავალა, რომ აჭარაში, განსაკუთრებით ხულოს რაიონში, გამევრცელებინა საქონლის ეპიდემიები, ხოლო საქონლის დაავადებათა წინააღმდეგ არ მიმეღო ზომები. ამაზე გადაჭრით უარი განვაცხადე და ვუთხარი, მთავრობა მალე გაიგებს ვინცა ვართ და ჩავვარდებით-მეთქი. ძნელაძე დამეთანხმა და მითხრა, რომ კოლმეურნეებისათვის მიმეცა მოწმობები საქონლის დაკვლაზე. შევუდექი ამ უკანასკნელი დავალების შესრულებას და ყველას, ვინც კი მოდიოდა ჩემთან ასეთი მოწმობის მისაღებად, ვაკმაყოფილებდი. მარტო ხულოს რაიონიდან დღეში ჩემი მოწმობებით დასაკლავად გაჰყავდათ 30-40 სული პროდუქტიული მუშა-საქონელი.

ვცდილობდი აგრეთვე, რომ საქონლის კვება არ ყოფილიყო სათანადოდ მოწყობილი. ერთერთ კოლმეურნეობაში, სახელდობრ რომელში, არ მახსოვს, ძროხებისათვის დამპალი თივა მივაცემინე და ამის შედეგად 11 ძროხა დაიღუპა. დამპალი საკვებით დაიხოცა აგრეთვე დიდძალი საქონელი მაწყვალის კოლმეურნეობაში. ხულოს რაიონისათვის შეიძინეს 20 მოზვერი, რომელთა ხნოვანება არ აღემატებოდა 7-8 თვეს. ეს საქონელი ბათუმიდან უნდა ჩაეყვანათ. ამისთვის საჭირო იყო ერთი ავტომობილი, მაგრამ ავტომობილი არ მივეცით გლეხებს და მათ მოუხდათ ამ საქონლის ფეხით ჩამოყვანა ბათუმიდან ხულომდე. ნორმის მიხედვით, ეს მანძილი — 87 კილომეტრი — ხბოებს უნდა გაევლოთ 5 დღეში. ჩვენ კი დავაჩქარეთ და ხბოები ხულოში ორ დღეში ჩავარეკინეთ. ეს ხბოები დავარდნენ, დაავადმყოფდნენ და დაიხოცნენ. რაიონში საქონელს გაუჩნდა ავადმყოფობა — პიპოპლაზმოსი. ეს რომ გავიგე, ავადმყოფი საქონელი არ მოვათავსე კარანტინში და ზოგი მათგანი ამის გამო დაიღუპა.

რაიონში ჰყავდათ აგრეთვე ჯიშიანი ბუღები. მე დავალებული მქონდა ძნელაძისაგან, რომ მათთვის არ მიმექცია ყურადღება, რათა დახოცილიყვნენ. ასეც მოხდა.

სასილოსე მშენებლობაშიაც ვეწეოდით მავნებლობას, ერთი სილოსი ავაგეთ ჭაობიან ადგილას, ჩავყარეთ 30 ტონა ბალახი, მაგრამ ეს სილოსი გაფუჭდა, რადგან ჭაობის სინესტე გავიდა კოშში და საკვები დალპა.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

(გაგრძელება)

თავმჯდომარე — მოწმე თურქოშვილო, გვიამბეთ, პირადად თქვენ ვინ მიიზიდეთ ამ მავნებლურ ორგანიზაციაში.

მოწმე თურქოშვილი — პირადად მე მხოლოდ მავნებლობას ვეწეოდი და ახალი წევრების ჩაბმის საქმე არ მიკისრია.

თავმჯდომარე — რატომ მტრობდით საბჭოთა ხელისუფლებას, რამ გაიძულათ ეს? თქვენ ხომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხართ გამოზრდილი, მადლობის მაგიერ რატომ უმტრეთ?

მოწმე თურქოშვილი — მე თვითონ არ ვიცი, რატომ? როცა დავფიქრდებოდი, მრცხვენოდა ჩემი თავისა, მაგრამ ძნელაძის წინააღმდეგ წასვლას ვერ ვბედავდი, რადგან ის ჩემი უფროსი იყო და, გარდა ამისა, ისე ჩავიფლე ამ კონტრრევოლუციური მუშაობის ჭაობში, რომ საკუთარი თავისთვის ანგარიშის მისაცემადაც არ მეცალა.

თავმჯდომარე — მაინც რა მიზანი გქონდათ?

მოწმე თურქოშვილი — ჩემი მიზანი იყო გეგმების ჩაშლა, საქონლის მოსპობა, მოსახლეობაში უკმაყოფილების შექმნა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

თავმჯდომარე — ახლა ეს გვიამბეთ, როგორ დაღუპეთ საქონელი მაწყვალის კოლმეურნეობაში?

მოწმე თურქოშვილი — საქმე ისე მოვაწყვეთ, რომ ამ კოლმეურნეობაში საქონლისათვის არ ჰქონოდათ კარგი საკვები და ეჭმიათ დამპალი თივა. ამის გამო იქ დაიღუპა, მგონი, 22 სული მუშა-საქონელი. როცა იქ დამიძახეს, წასვლა დავაგვიანე, წაველი მაშინ, როცა საქონელი უკვე დახოცილი იყო. გავკვეთე მკვდარი საქონელი, გავშინჯე მიკროსკოპით და...

თავმჯდომარე—მაშასადამე, თქვენ ჯერ ჰხოცდით საქონელს და შემდეგ მიკროსკოპით სინჯავდით, არა?

მოწმე თურქოშვილი — (სდუმს).

კაპანაძე — რამდენი ფერმა იყო თქვენს რაიონში და მათგან რამდენი დაშალეთ?

თურქოშვილი — ხულოს რაიონში სულ ათი ფერმაა. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, რომ ფერმები დაგვეშალა, ეს ვერ შევძელით, მაგრამ ზიანი კი ყველას მივაყენეთ.

ამით დამთავრდა თურქოშვილის დაკითხვა. შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. კაპანაძის შუამდგომლობით, სასამართლომ დაადგინა დამატებით გამოიძახოს ჩვენების მისაცემად მოწმე კადირ ხოზრევანიძე.

მოწმე ჰასან წულუკიძის ჩვენება

თავმჯდომარე — მოწმე წულუკიძე, რა იცით თქვენ სოფლის მეურნეობაში წარმოებული მავნებლობის შესახებ?

მოწმე წულუკიძე — მე ხულოს რაიონის სოფ. ტბეთიდან ვარ. გიამბობთ მხოლოდ იმის შესახებ, თუ რას აკეთებდნენ ხალხის საზიზღარი მტრები ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში. 1936 წელს ღვანის სასოფლო საბჭოში გამოცხადდა ნური გამრეკელიძე და დაავალა კოლმეურნეებს შეესყიდნათ სხვადასხვა თესლი. კოლმეურნეებმა შეიძინეს ეს თესლი, მაგრამ იგი გაფუჭებული გამოდგა და ნაყოფი არ გამოიღო.

1935 წელს ჩვენში ჩამოიტანეს გამხმარი ნერგები. გლეხებმა სთქვეს, ეს ნერგები არ გვინდა, არ გაიხარებსო, მაგრამ იმავე ნური გამრეკელიძის დაჟინებითი მოთხოვნით გლეხებს ნერგები შეაძენინეს და დაარგვევინეს. მართლაც, არცერთმა არ გაიხარა და, ამგვარად, ფუჭად ჩაიარა კოლმეურნეების შრომამ და ხარჯმა. სოფ. ღვანში მათივე წყალობით დაიღუპა დიდძალი ფუტკარი. სოფ. გოგაძეებში მავნებელ გამრეკელიძის, ბეჟანიძის და სხვათა მოთხოვნით ადგილობრივ კოლმეურნეობას წაართვეს ხუთი ჰექტარი ფართობი და გადასცეს ერთპიროვნულ მეურნეობებს. ამან კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს შორის დაჰბადა დიდი შუღლი და უკმაყოფილება. უჩამბის სასოფლო საბჭოში გამრეკელიძის, გვარელიშვილის და ბეჟანიძის აგენტები გლეხებს აიძულებდნენ ხოჯებისთვის მოსაკითხი მიეტანათ.

იყო აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ყოფილ კულაკებს, ბეგებს და ალალარებს ანთავისუფლებდნენ გადასახადისაგან, ღებულობდნენ კოლმეურნეობაში და სხვ. ზექერია ლორთქიფანიძის სიმამრს ოსმან-აღა დავითაძეს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდა.

მავნებლები აქეზებდნენ „კაცისმკვლელებს, გარყვნილებს და ყველა ნაძირალებს ახალ დანაშაულობათა ჩასადენად. ხოჯებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მიცემული, რომ ხალხში აგიტაცია გაეწიათ. ერთი სიტყვით, ეს საზიზღარი ძმები — ზექერია ლორთქიფანიძე და მისი ბანდა, ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის საზიანოდ და ჩვენი ბედნიერი შეძლებული ცხოვრების მოსასპობად.

ბრალდებული ლორთქიფანიძე — ვთხოვ სასამართლოს ნება მომცეს მივცე მოწმეს ერთი შეკითხვა. (სასამართლო ბრალდებულის თხოვნას აკმაყოფილებს).

ბრალდებული ლორთქიფანიძე — მოწმე წულუკიძევ, მოახსენეთ სასამართლოს, რატომ მოჰკალით თქვენ წალდით გლეხი და როგორ წაგაქეზათ ამ მკვლელობისათვის ბეგმა.

მოწმე წულუკიძე — პატივცემულო მოსამართლენო, მე მივხვდი, თუ რა მოსაზრებით მომცა ეს შეკითხვა ბრალდებულმა ლორთქიფანიძემ. მე მაშინ 11 წლისა ვიყავი. როცა შემთხვევით მეზობელი დავჭერი წალდით და შემდეგ ეს კაცი გარდაიცვალა. ეს იყო 1917 წელს, მაგრამ ამის შესახებ იცის ხელისუფლებამ და თუ ღირსი ვარ სასჯელისა, მე მზად ვარ მის მისაღებად.

თავმჯდომარე — კარგი. ეგ საქმე ამჟამად საინტერესო არ არის.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კაპანაძე — (მიმართავს ბრალდებულ ლორთქიფანიძეს) მოახსენეთ სასამართლოს, იცნობდით თუ არა თქვენ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს გაჩეჩილაძეს და სცადეთ თუ არა მისი ჩათრევა თქვენს ორგანიზაციაში, ან იქნებ მონაწილეობდა იგი თქვენს მუშაობაში.

ბრალდებული ლორთქიფანიძე — მე გაჩეჩილაძეს ვიცნობდი, როგორც გამფლანგველს და სახალხო დოვლათის გამნიავებელს. იგი თავისთავად სჩადიოდა მავნებლობას. ჩვენს ორგანიზაციაში იგი არ მიმიზიდავს.

მოწმე ისკანდერ კობაძის ჩვენება

თავმჯდომარე — უამბეთ სასამართლოს სრული სიმართლით, თუ რა იცით აქ წარმოდგენილ ბრალდებულთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ?

მოწმე კობაძე — შევეცდები ყველაფერი სრული სიზუსტით ვუამბო სასამართლოს. მე ვარ დიდაჭარის კოლმეურნეობის ბრიგადირი. ჩვენთან მესაქონლეობა ერთერთი წამყვანი დარგია და აი სწორედ ამ მესაქონლეობის დარგში მუშაობისას მე შევნიშნე მავნებლობა. საქონელს ისე ვერ მოვამრავლებდით, თუ არ გვექნებოდა საძოვარი. საძოვრის მიღების შესახებ ჩვენ აღვძარით შუამდგომლობა და, მართლაც, მალე გამოგვიყვეს ერთი ნაკვეთი, სადაც უნდა გვეძოვებინა ჩვენი კოლმეურნეობის საქონელი. გაიგო თუ არა ეს ბეჟანიძემ, მაშინვე ჩამოგვართვა ეს საძოვარი და სხვებს გადასცა. ეს მოხდა 1933 წელს. 1934 წელს საძოვარი არ გვქონდა, 1935 წელს, როცა ჩვენში ჩამოვიდა ზექერია ლორთქიფანიძე, მას დიდი ამბით შევეგებეთ, ვუამბეთ ჩვენი გაჭირვება და ვთხოვეთ როგორმე გამოეყო ჩვენთვის საძოვარი. დაგვპირდა, მაგრამ არ შეგვისრულა. 1936 წლის ბოლომდე ჩვენ საკოლმეურნეო ფერმაში საქონლის რიცხვი ვერ გავზარდეთ, რადგან საკვები ბაზა არ გვქონდა.

1936 წელს დაგვათესინეს თამბაქო ისეთ ადგილებზე, სადაც არ ივარგებდა. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ რაიაღმასკომიდან ძალას გვატანდნენ, უსათუოდ ამ ფართობზე დასთესეთ თამბაქოო. დავსთესეთ და არაფერი მოვიდა. კოლმეურნეობას იმ წელიწადს მეთამბაქოობიდან მხოლოდ 6.000 მანეთი შემოსავალი ჰქონდა.

ზამთარში, როცა თოვდა და ყინვები იყო, დაგვათესინეს სამყურა. როგორც ახლა ამ ჭერზე არ არის ბალახი ამოსული, ისე იმ ფართობზე არაფერი ამოსულა, რადგან ყინვამ თესლი მიწაშივე დასწვა. ვიზარალეთ თესლის საფასური 600 მანეთი, გაწეული შრომა და ამავე დროს გაგვიცდა სამი ჰექტარი ფართობი.

თავმჯდომარე — იწვევდა თუ არა ყველაფერი ეს უკმაყოფილებას მოსახლეობაში?

მოწმე კობაძე — დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. არ ვიცოდით, ვისთვის მიგვემართა. ამას დაემატა კიდევ შემდგომი ბოროტმოქმედებანი: ზოგმა კოლმეურნემ დაიწყო მუშა-საქონლის გაყიდვა. შემდეგ კიდევ საკარმიდამო მიწის მოზომვაზე შესდგა აყალ-მაყალი და სხვ. ჩვენს კოლმეურნეობაში ბეჟანიძის, გამრეკელიძის და გვარელოღლის (იგივე გვარელიშვილი) წყალობით ზოგ კოლმეურნეს საკარმიდამო მიწას აძლევდნენ მთაში, ზოგს სამოსახლოსთან, ზოგს აძლევდნენ რამდენიმე ნაკვეთს და ამან იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ბევრმა კოლმეურნეობა მიატოვა.

კაპანაძე — ხომ არ მიგიმართავთ ცაკისათვის?

კობაძე — კოლმეურნეები აუარებელ საჩივარს ჰგზავნიდნენ რაიაღმასკომში და აჭარის ცაკში, მაგრამ ამ საჩივრებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

მოწმე კადირ ხოზრევანიძის ჩვენება

სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ჯინჭარაძე წინადადებას აძლევს მოწმეს, რომ ილაპარაკოს სიმართლე იმის შესახებ, რაც იცის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა შავბნელი საქმიანობის შესახებ

ხოზრევანიძე — მე თვითონ უსწავლელი კაცი ვარ, უწინ ღარიბი გლეხი ვიყავი, მუდამ ბეგებისა და ხოჯების უღელ-ქვეშ ვგმინავდი ისევე, როგორც ყველა ჩემისთანები. ჩვენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავიხარეთ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის და ამის შესახებ მინდა მოგახსენოთ. მე ჩამითრიეს კონტრრევოლუციურ მუშაობაში ნური გამრეკელიძემ და ბეჟანიძემ მითხრეს, თუ ჩვენთან არ იმუშავებ, შენი საქმე ცუდად იქნებაო. მე მავნებელი გავხდი. ბეჟანიძის დავალებით შევუდექი მავნებლობას მეცხოველეობის დარგში, დიდძალი საქონელი დავღუპე, გავაფუჭე სამი სილოსი, თითო 50-ტონიანი. ჩავშალე მესაქონლეობის დარგში გეგმების შესრულება და სხვ. ბეჟანიძე და გამრეკელიძე სისტემატურად მთხოვდნენ ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა მავნებლობა ჩავიდინე. როცა სოფ. დიდაჭარაში სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოყალიბდა, საარტელო ფართობის დიდი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთებად დავარიგეთ და, ამგვარად, არტელი დაშლის კარამდე მივიყვანეთ.

მოწმე სოსლან ჩიხლაძის ჩვენება

თავმჯდომარე — სად მუშაობდით და ამჟამად სად მუშაობთ?

ჩიხლაძე — ახალი სპეციალისტი ვარ და ვმუშაობ მხოლოდ გაზაფხულიდან. როცა აქ დამნიშნეს, მეცხოველეობის დარგს განაგებდა მიწსახკომის მაშინდელი მოადგილე, ამჟამად გამომჟღავნებული ჯაშუში და მავნებელი დავით ძნელაძე. მან თავიდანვე მიბრძანა, რომ ყველა საკითხზე, რა მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მისთვის გამეკეთებინა არა წერილობითი, არამედ ზეპირი მოხსენება. მისმა ასეთმა ბრძანებამ გამაკვირვა. ეჭვი დამებადა ძნელაძის პატიოსნებაში. შემდეგ ყველაფერი გამოირკვა. იგი, თურმე, ხალხის მტერი ყოფილა და უნდოდა, რომ არ დარჩენილიყო მისი გამამჟღავნებელი რაიმე წერილობითი საბუთი.

აჭარაში მეცხვარეობა საკმაოდ განვითარებულია. ძნელაძემ, თურმე, განიზრახა ცხვრის განადგურება და აი რა ჩაიდინა: მოვიდა ცნობა, რომ საძოვარზე ცხვარს გაუჩნდა „პეპელა“. არსებული წესის თანახმად, ასეთი ცხვრის ფარა უნდა მოთავსდეს ერთ ბაკში, უნდა უექიმონ მას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხვარი მორჩება, გაუშვან სხვა ფარასთან ერთად. ძნელაძის განკარგულებით, ავადმყოფი ცხვარი არ მოათავსეს ერთ ადგილას, იგი გაუშვეს საძოვარზე და ამან გამოიწვია 72 ათასი ცხვრის დაავადება. აქედან დაიხოცა 1.560 სული ცხვარი. ქობულეთის რაიონში ზოგმა სულ დაჰკარგა ცხვრის ფარა. მაგალითად, ოსმან დევაძეს დაეხოცა 90 სული ცხვარი, მის მეზობელს სულ გაუწყდა ფარა (300 სული), ახლან-ბეშიოღლის დაეხოცა 550 სული და ა. შ.

მსხვილი რქიანი საქონლის გასანადგურებლად ორი მეთოდი ჰქონდათ: დაკვლა და ავადმყოფობათა გავრცელება. ერთ ადგილას მსხვილფეხა საქონელში თავი იჩინა ერთნაირმა ავადმყოფობამ. ამ სენის ლიკვიდაცია სულ უბრალო საქმე იყო, მაგრამ ძნელაძის განკარგულებით ნამდვილი წამლის მაგიერ ბათუმიდან გაეგზავნათ ყალბი წამალი და საქონლის დიდი ნაწილი დაიხოცა. მაშინ აქ არ ვიყავი, ყველაფერი ეს შემდეგ გამოვარკვიე იმ საქმეებიდან, რომელიც აჭარის მიწსახკომში ინახება, და ამიტომ არ ვიცი, რამდენი სული მსხვილფეხა საქონელი განადგურდა ამის შედეგად. ჩვენი სპეციალისტის ლეკვეიშვილის ცნობით, მარტო ხულოს რაიონში 300 სული საქონელი დაღუპულა. ასევე ხდებოდა მეცხენეობაში. ქოთაოიან ცხენებს უშვებდნენ ჯანსაღ ცხენებთან და ავრცელებდნენ ამ ავადმყოფობას. ხულოში კოლმეურნეობისათვის გადაუციათ ავადმყოფი ძროხები, ფული აუღიათ, ხოლო ძროხები დახოცილან.

სახელმწიფო ბრალმდებელი — ხომ არ იცით ისეთი შემთხვევა, რომ ძნელაძეს და სხვა მავნებლებს მიეღოთ ზომები იმ სპეციალისტების თავიდან მოსაშორებლად, რომლებიც პატიოსნად მუშაობდნენ.

ჩიხლაძე — იყო ასეთი შემთხვევები. მეც მდევნიდნენ, მავიწროვებდნენ, მაგრამ სამუშაოდან მაინც არ გავიქეცი, რადგან ვატყობდი, რომ ჩემი აქ ყოფნა სასარგებლო იყო საქმისთვის. ისე შემავიწროვეს, რომ ბინაც კი არ მომცეს. როგორც იქნა, ერთი სარდაფი ვიშოვნე და იქ ვცხოვრობდი ცოლშვილით. ბავშვი გამიცივდა და დამეღუპა. მაგათ სინიდისზეა ჩემი ბავშვის სიკვდილი! ეგ ხალხის მტრები რომ არა, იგი ახლა ცოცხალი მეყოლებოდა.

მოწმე ალი წულუკიძის ჩვენება

თავმჯდომარე — რას მოახსენებთ, მოწმე წულუკიძევ, სასამართლოს ბრალდებულთა კონტრრევოლუციურ-მავნებლური საქმიანობის შესახებ?

წულუკიძე — 1935 წლიდან ხულოს მიწგანის მიერ დროებით დანიშნული ვიყავი მიწისმზომელად. 1934 წლის მარტში ნური გამრეკელიძემ ჩამაბა მავნებლურ ორგანიზაციაში. მან მაშინვე მომცა დავალება, რომ საკარმიდამო მიწების მიზომვისას დამეშვა მრავალნაკვეთიანობა, ზოგისთვის მეტი ფართობი მიმეზომა, ზოგისთვის ნაკლები და ამით გამომეწვია კოლმეურნეების უკმაყოფილება.

მაგრამ, მოქალაქე მოსამართლენო, საინტერესოა თუ მე, ყოფილი ღარიბი გლეხი, სილატაკით წელში გაწყვეტილი, როგორ გავხდი ხალხის მტერი და მოღალატე. ერთი უბრალო კაცი ვარ, უსწავლელი და შეუგნებელი. ჩემი შვილები ახლა სკოლაში სწავლობენ, მე თვითონ გვარიანად ვცხოვრობდი, რა მინდოდა მეტი? არაფერი. მაგრამ საშინელ მდგომარეობაში ჩამაყენა წყეულმა გამრეკელიძემ. როცა მან პირველად მომცა წინადადება მავნებლობა დაიწყეო, მე ვუპასუხე: — რას ბრძანებ, ვის უნდა ვავნო, განა მეზობლები უნდა დავღუპო? მაშინ მან მიყვირა: ჩუმად იყავ, შე ძაღლო, შენა, თორემ კატასავით დაგახრჩობ, იცი თუ არა, რომ მთელი ბათუმის მთავრობა, ყველა ჩვენი ახლანდელი ხელმძღვანელები კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობენ. შენ რომ კიდეც დაგვასმინო, არავინ დაგიჯერებსო. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან ჩვენი მომხრენი დაგხვდებიან. თუ ხმა ამოგიღია და ჩემს წინადადებაზე არ დათანხმებულხარ, შენც და შენს ცოლშვილსაც ამოვხოცავთო.

პატივცემულო მოსამართლენო, შეიძლება სისუსტე გამოვიჩინე, ჩემს სიცოცხლეს არ ვნაღვლობდი, მაგრამ ცოლშვილის სიცოცხლე ვერ დავთმე, ბავშვები მეცოდებოდნენ, და დავეთანხმე მავნებლურ მუშაობაზე.

თავმჯდომარე — თუ ასეთ მდგომარეობაში ჩაგაყენეს, რატომ არ მიმართე შინსახკომს ან პარტიულ ორგანიზაციას, რატომ სდუმდი?

წულუკიძე — უკვე მოგახსენეთ, რომ დამაშინეს და მომატყუეს. მითხრეს—მთელი მთავრობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებია. თუ გაგვთქვამ, ცოლშვილსაც დაგიხოცავთ, შენც მოგკლავთო, და ვერ გავბედე კრინტის დაძვრა.

სახელმწიფო ბრალმდებელი — მოწმე წულუკიძევ, რას ეუბნებოდით კოლმეურნეებს, როცა ისინი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ?

წულუკიძე — მე მათ ვეუბნებოდი, რომ ჩემი ბრალი არაფერია და რომ მე ვასრულებდი მიწგანის დავალებას. ეს სიცრუე არ იყო. მართლაც, მიწგანი, ე. ი. მისი გამგე გამრეკელიძე, მავალებდა მავნებლობას, მაგრამ შემდეგ, როცა გამრეკელიძე და სხვები შეშინდნენ, ვაი თუ გამოგვამჟღავნონო, აიღეს და მაინც მე გამიმეტეს გასაუბედურებლად, მომხსნეს სამსახურიდან, ჩემი საქმე პროკურატურას გადასცეს და ამავე დროს გამაფრთხილეს — კრინტი არსად დასძრა, რომ შენ მავნებლურ ორგანიზაციაში ხარ, თორემ შენი ცოლშვილი მძევლად გვყავსო.

თავმჯდომარე—მაშასადამე, თქვენ მავნებელი გახდით იმიტომ, რომ დაგაშინეს, ცოლშვილის ამოწყვეტით დაგემუქრენ, თვითონაც გკლავდნენ, თორემ ისე პირადად თქვენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად არ იყავით განწყობილი.

წულუკიძე — გული მიკვდებოდა და ბევრჯერ სიკვდილიც მინატრია, როცა დავფიქრდებოდი ჩემს მდგომარეობაზე. მე ვგრძნობდი დიდ დანაშაულს და თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ზიანს ვაყენებდი იმ ხელისუფლებას, რომელმაც ჩემი შვილები განათლების გზაზე დააყენა. შვილების სიყვარულით მომივიდა ყველაფერი... (მოწმეს ცრემლები მოსდის).

მოწმე ისმაილ გათენაძის ჩვენება

— 1934 წელს მოედინ სურმანიძემ და ზექერია ბერიძემ დამავალეს დამეწყო მავნებლური მუშაობა: გამეწიავებინა თამბაქოს მოსავალი, დამეხოცა გამწევი საქონელი და სხვ. საქონელს ვაძლევდით გაფუჭებულ საკვებს, ბევრი ხარი და ძროხა დავღუპეთ. თამბაქოს პლანტაციები კი გავაშენე მავნებლურად, ისე, რომ სრულიად უმნიშვნელო მოსავალს ვღებულობდით.

თავმჯდომარე — რატომ სჩადიოდით ამ მავნებლობას? კოლმეურნეობაში შესვლამდე ხომ ღარიბთა ფენაში ირიცხებოდით?

გათენაძე — სურმანიძემ და ბერიძემ შემიყვანეს ერთ ოთახში და მითხრეს: შენ ჩვენი ორგანიზაციის წევრი უნდა გახდე. კრინტი არსად დასძრა, თორემ, ხომ იცი, ჩვენ ტერორისტები გვყავს, შენც მოგკლავთ და ცოლშვილსაც ამოგიხოცავთ, ოჯახს აგიწიოკებთ. თუ დათანხმდები ჩვენთან მუშაობას, მაშინ პატივცემაში გვეყოლები, დაგეხმარებით და ცხოვრების კარგ პირობებს შეგიქმნითო. ამავე დროს მითხრეს, რომ ზექერია ლორთქიფანიძე, ქიქავა და ყველა სახალხო კომისარი ამ ორგანიზაციის წევრი იყო, და რომ ჩქარა მოსალოდნელი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ახალი ხელისუფლების დამყარება. მე ამ სიტყვებმა დამაეჭვა და ვთქვი, რომ საბჭოთა ხელისუფლება გლეხებისათვის ყველაზე უკეთესია-მეთქი. იმ წუთში თავს დამესხნენ ორივე და მიბრძანეს, რომ ასეთ რამეებზე არ მეფიქრა, ხოლო თუ კიდევ დამცდებოდა ასეთი სიტყვები, უსათუოდ ამოგვწყვეტდნენ მეც და ჩემს ცოლშვილსაც. ძალიან შევშინდი, გამოსავალი ვერსად ვნახე. ერთხელ ჩამოვედი ბათუმში და გადავწყვიტე შინსახკომში მისვლა, რომ ყველაფერი მეთქვა. როცა შინსახკომისკენ მივდიოდი, გამახსენდა, რომ სურმანიძისგან გაფრთხილებული ვიყავი: იცოდე თვალყურს გადევნებთ, რომ შეგამჩნიოთ ღალატი, დაგღუპავთო.. ისევ შევფიქრიანდი და უკან გამოვბრუნდი.

გარდა მავნებლობისა, მე დავალებული მქონდა მომეწყო საქმე ისე, რომ ჩვენს სოფელში (ქედა) ბავშვები არ შეეყვანათ სკოლებში, არამედ ხოჯებისათვის მიებარებინათ. დავალებული მქონდა ხალხში ჩუმად გამეწია აგიტაცია, რომ ქართული არავის ესწავლა. მოვახერხე და რამდენიმე ბავშვი მშობლებს მოლასთან გავაგზავნინე. გარდა ამისა, ვეწეოდი აგიტაციას, რომ ხალხს მეჩეთში ევლო.

თავმჯდომარე — რათ დაგჭირდათ აგიტაცია? საბჭოთა ხელისუფლება ხომ არ გიშლიდათ მეჩეთში სიარულს?

მოწმე გათენაძე — რა თქმა უნდა, არავინ გვიშლიდა მეჩეთში სიარულს, მაგრამ თუ ამ დავალებას არ შევასრულებდი, ჩემი საქმე ცუდათ იქნებოდა. მე მომიჩინეს ორი მეთვალყურე — აბდულ ბასილაძე და ახმედ ეფენდი სურმანიძე. მათი საშუალებით მომცეს ახალი დავალება, რომ ჩვენ კოლმეურნეებს ბავშვები არ მიეცათ საბავშვო ბაგაში.

მოწმე ნური მიქელაძის ჩვენება

მოწმე ნური მიქელაძე, სოფელ ვაწაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად ამბობს:

— ხულოს რაიონში მავნებლობას ეწეოდნენ ბეჟანიძე, ნური გამრეკელიძე და სეიდ გვარელოღლი. მათი მიზეზით დაიღუპა დიდძალი საქონელი, მათივე დავალებით გააფუჭეს ორი სასილოსე კოშკი, დაალპეს 400 ფუთი კარტოფილი და სხვ. მათი ინიციატივით ჩვენი კოლმეურნეობიდან გარიცხეს აქტიური წევრები, რომელთაც არც კოლმეურნეობისა და არც ხელისუფლების მიმართ არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. შემდეგ მოხდა ასეთი ფაქტი: რაიმიწგანმა ჩვენს კოლმეურნეობას კარტოფილის დასათესად გადასცა 35 ჰექტარი ფართობი. ჩვენ შევიძინეთ საამისო თესლი, შევუდექით მუშაობას, მაგრამ, როცა ეს ფართობი ავზომეთ, აღმოჩნდა, რომ იქ 11 ჰექტარი იყო. ამგვარად, კოლმეურნეობას დიდი ზარალი მოუვიდა, რადგან მოსავალი ნავარაუდევი იყო 35 ჰექტარზე, შრომა-დღეები აღნიშნული იყო ამ ფართობის მიხედვით, არსებითად კი მხლოდ 11 ჰექტარი ყოფილა.

როცა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო არტელი დაარსდა, ამავე მავნებლებმა წააქეზეს არტელის წევრები, — გაეწიავებინათ პირუტყვი. ჯერ გამოაცხადეს, ვინც ამ ორი წლის განმავლობაში გაჰყიდეთ მუშა-საქონელი, ეს საქონელი უკანვე უნდა დაუბრუნოთ არტელსო. ამავე დროს ზოგიერთ წევრს ნური გამრეკელიძემ და ვეტექიმმა თურქოშვილმა ნება დართეს გაეყიდნათ მუშა-საქონელი. ამან ისეთი არევ-დარევა გამოიწვია, ისე გადაჰკიდა არტელის წევრები ერთიმეორეს, რომ საჭირო გახდა თვითონვე ჩარეულიყვნენ საქმეში და ხალხი დაეშოშმინებინათ. დიდი არევ-დარევა გამოიწვია აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთების ცუდად განაწილებამ. საკარმიდამო მიწებს ზომავდა ალი წულუკიძე. მე მოწმე ვარ, რომ ალი წულუკიძე წინააღმდეგი იყო მრავალნაკვეთიანობის, საკარმიდამო ნაკვეთების მავნებლურად განაწილებისა, მაგრამ ამ მავნებლებმა /წულუკიძე პასუხისგებაში მისცეს, რატომ, ეს არ ვიცი.

თავმჯდომარე — ქრთამების მიცემა თუ იყო შემოღებული?

მიქელაძე — დიაღ. ქრთამს ყველა ღებულობდა.

კაპანაძე — იყო თუ არა საჩივრები სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების უხეშად დარღვევის გამო?

მიქელაძე — აუარებელი საჩივრები მიჰქონდათ კოლმეურნეებს რაიაღმასკომში, მაგრამ ყურადღებას, რა თქმა უნდა, არავინ აქცევდა.

მოწმე ნური სურმანიძის ჩვენება

— 1935 წელს ვიღაც ბერძენი აგრონომი მოვიდა ჩვენს სოფელში, სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეც მე ვარ და მითხრა — დამეთესა თამბაქო ნოყიერ ნიადაგზე 60 სანტიმეტრის სიღრმეზე. გამოცდილებით ვიცი, რომ ასე დათესილი თამბაქო არ იხეირებდა. აგრონომის ბრძანება არ შევასრულე.

იყო კიდევ ასეთი ფაქტი: სეიდ გვარელოღლიმ, იგივე გვარელიშვილმა, რომელიც ახლა, როგორც ხალხის მტერი და მოღალატე, დაპატიმრებულია, კოლმეურნეებს უთხრა, ჯერ თამბაქოს დასათესი ფართობი უნდა გამოვყოთ და მერე საკარმიდამო მიწებს მოგცემთო. ამაზე ერთმა კოლმეურნემ უპასუხა: გაზეთში სწერია, რომ ჯერ საკარმიდამო ნაკვეთები უნდა მოგვცეთ, შემდეგ, როგორც საჭიროა, ისე მოიქეცითო.

გვარელოღლი გაწიწმატდა და შეუყვირა: რა შენი საქმეა გაზეთის წაკითხვა, გაზეთს კი ნუ კითხულობ, იმუშავე და შენს უფროსებს დაუჯერე!

მოწმე გულა ართველაძის ჩვენება

თავმჯდომარე — გვიამბეთ ყველაფერი, რაც იცით მავნებლურ-კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ.

ართველაძე — მე ვიცი შემდეგი: სამყურა დაგვათესინეს, როცა ზამთარი იყო და ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს სამყურა არ გაიხარებდა.

ვიცი აგრეთვე, რომ სოფელ სტეფანაშვილებში (ხულოს რაიონი) 19 სული საქონელი დაიხოცა, ხოლო დანარჩენი საქონელი ან გაჰყიდეს, ან დააავადმყოფეს. ისიც ვიცი, რომ ამ მავნებლობას ხელმძღვანელობდნენ ბეჟანიძე, გვარელოღლი და გამრეკელიძე.

ამავე სოფელში დავიწყეთ ბოსლის მშენებლობა. ამ მავნებლებმა საქმე ისე მოაწყეს, რომ ბოსლის მშენებლობა მეტისმეტად გაჭიანურდა. ამასთან ეს ბოსელი ისე შენდებოდა, რომ დიდ თოვლს ვერ აიტანდა და დაინგრეოდა. ჩვენს სოფელში მავნებლებმა გაგვიფუჭეს 10 ტონა დასილოსებული საკვები.

თავმჯდომარე — იცით თუ არა, რატომ სჩადიოდნენ ამ მავნებლობას?

ართველაძე — ახლა ეს ჩემთვისაც და ყველა კოლმეურნისთვისაც გასაგებია, მაგრამ მაშინ არაფერი ვიცოდით.

მოწმე აზიზ გოგმაჩაძის ჩვენება

— მე მოგახსენებთ იმ მავნებლობაზე, რომელსაც ხალხის მტრები სჩადიოდნენ ქობულეთის რაიონში. უნდა აღვნიშნო, რომ მათ ყველაზე დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს რაიონში ჩაის პლანტაციებს. მათი განკარგულებით ირღვეოდა ჩაის კრეფის წესები, მესამე და მეოთხე ხარისხის ჩაის თვალთმაქცურად ასაღებდნენ პირველხარისხოვნად და სხვ. კრეფის ისეთი მეთოდი შემოიღეს, რომ ჩაის ხარისხიც უარესდებოდა და ნაკლებ მოსავალსაც ვღებულობდით. ერთხელ მე ამის შესახებ საერთო კრებაზე გამოვედი და ვთქვი, ასეთი მეთოდით ჩაის კრეფა მავნებლურია-მეთქი. მაგრამ ხალხის მტერმა ნუცუბიძემ დამცინა: შენ ლაწირაკი აგრონომი ხარ, არაფერი იცი, შენზე უკეთ ჩვენ ვიცითო. იძულებული გავხდი თავი შემეკავებინა, რომ კიდევ არ გავმხდარიყავ დაცინვის ობიექტი. მაგრამ მოთმენა შეუძლებელი იყო. გავიგე, რომ მავნებლები კოლმეურნეებს ავალებდნენ ჩაის ბუჩქების მთლიანად გაკრეფას. კოლმეურნეები უარს ამბობდნენ ამაზე და აღნიშნავდნენ, ჩაის ფოთოლი ჯერ მოუმწიფებელია და მისი მოკრეფა ხელსაყრელი არ არისო, მაგრამ სხვადასხვა მუქარის საშუალებით კოლმეურნენი მაინც აიძულეს მოეკრიფათ მოუმწიფებელი ფოთოლი. ამ გზით მავნებლებმა დიდი ზარალი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მავნებლებმა ჩაის პლანტაციები ზოგიერთ ადგილას სრულ გავერანებამდე მიიყვანეს.

რაიონში მუშაობდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები — გაფრინდაშვილი და ჯორბენაძე. იყვნენ სხვებიც, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, პატიოსანი სპეციალისტები. ნუცუბიძე და მისი დამქაშები საშინლად სდევნიდნენ ყველას. მაგალითად, გაფრინდაშვილი კინაღამ გააუბედურეს. სამსახურიდან მოხსნეს, პასუხისგებაში მისცეს და ისე მოაწყეს სასამართლოში საქმე, რომ ამ სრულიად უდანაშაულო კაცს ექვსი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. ჯორბენაძეც მოხსნეს სამუშაოდან. სხვებსაც არ უყურებდნენ კარგად. მაგრამ შინსახკომმა ეს მავნებლები დააპატიმრა და ამნაირად მათ შავბნელ საქმიანობას ბოლო მოეღო

თავმჯდომარე—(მიმართავს ბრალმდებლებს და დამცველებს) ხომ არა გაქვთ შეკითხვა მოწმის მიმართ? (ბრალმდებლები და დამცველები უარს ამბობენ შეკითხვების მიცემაზე).

ამით დამთავრდა გამოძიება. სასამართლოს თავმჯდომარემ შემდეგი სხდომა დანიშნა 28 სექტემბერს დილისათვის.

28 სექტემბრის დილის სხდომა

28 სექტემბერს დილით სასამართლომ განაახლა მუშაობა. სხდომა დაიწყო მხარეთა კამათით.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, აჭარის რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. იპოლიტე კაპანაძემ წარმოსთქვა საბრალდებო სიტყვა, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოსთვალა თვითეული ბრალდებულის დანაშაულობანი.

ბრალმდებელმა ვრცლად ილაპარაკა საქართველოს და, კერძოდ, აჭარის მშრომელთა მიღწევებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

— ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, — განაცხადა ბრალმდებელმა, — აღორძინდა და აყვავდა ერთ დროს მეფის კოლონიად გადაქცეული და მენშევიკების ქუსლ ქვეშ მგმინავი აჭარა. აჭარელ მშრომელთა ცხოვრება საამური გახდა, და სწორედ ამ დროს გარეწართა ბანდა შეუდგა მახვილის ლესვას, რომ გაენადგურებინა აყვავებული მხარე.

ზექერია ლორთქიფანიძეს და მის ბანდას სურდათ ჩამოეშორებინათ აჭარა საბჭოთა კავშირისაგან, მონობის უღელი დაედგათ აჭარელი ხალხისათვის, აღედგინათ ძველი ძირმომპალი კაპიტალისტური რეჟიმი, დაებრუნებინათ მიწები ბეგებისა და ალალარებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას — ტერორს, მავნებლობას, ეპიდემიების გავრცელებას, ხალხის ამოჟლეტას.

ბანდიტ ფაშისტებს, რომლებმაც ქვეყანას წაართვეს მისი ერთერთი საუკეთესო შვილი სერგეი კიროვი, სურდათ დაეხოცათ ჩვენი დიადი სამშობლოს საუკეთესო ადამიანები. მათ განზრახული ჰქონდათ მოეკლათ ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხანაგი ბერია.

— არამზადა, რომლის თავშიაც ეს შემზარავი აზრი დაიბადა, უნდა დაიხვრიტოს, მტერი, რომელმაც ეს საზიზღრობა განიზრახა, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა!

სიტყვის ამ ადგილმა ტაში და საყოველთაო მოწონება გამოიწვია დარბაზში. დიდხანს არ მიწყნარდა ოვაციები და „ვაშას“ ძახილი. ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „გაუმარჯოს მის მოწაფეს, ამხ. ბერიას“, „სიკვდილი ხალხის მტრებს!“

პროკურორი განაგრძობდა სიტყვას. ყოველთვის, როცა იგი მოითხოვდა ბრალდებულთა დასჯას, მთელი დარბაზი ხმაურით ადასტურებდა პროკურორის ასეთ მოთხოვნას. ისმოდა: „ზიზღი და კრული სამშობლოს მოღალატეებს“! „სიკვდილი ფაშისტ-დივერსანტებს“!

ვინაიდან ყველა ბრალდებულთადმი წარდგენილი ბრალდებანი დამტკიცებულია, პროკურორმა მოითხოვა მათთვის სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის შეფარდება.

შესვენების შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა დადგენილება სასამართლო ძიების დროს გამორკვეულ მავნებლურ დანაშაულობათათვის ექვსი ბოროტმოქმედის დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები თოფუზ ცეცხლაძე და ხუსეინ დუმბაძე. მათ გამოსვლას დარბაზი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა.

ილაპარაკეს აგრეთვე დაცვის წარმომადგენლებმა კაშიამ, რომელიც იცავდა ჩალოღლის და ლაღიძეს, მამალაძემ, რომელიც იცავდა როძანაძეს, ტურძელაძემ, რომელიც იცავდა ბეჟანიძეს და ძნელაძეს და ბაბაშვილმა, რომელიც იცავდა ვანაძეს.

ბრალდებულებმა ლორთქიფანიძემ, ქიქავამ, მეგრელიძემ, რამიშვილმა და ბასილაძემ უარი სთქვეს დაცვის სიტყვებზე.

დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვები წარმოსთქვეს ზექერია ლორთქიფანიძემ, გიორგი რამიშვილმა, ჯემალ ქიქავამ, გრიგოლ ლაღიძემ, ილიას მეგრელიძემ და ქიაზიმ ბასილაძემ, რომლებმაც სთხოვეს სასამართლოს შეუნარჩუნოს მათ სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილი აქვთ უსაზიზღრესი დანაშაულობანი.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

შეუბრალებლად გავსრისოთ ფაშიზმის ქოფაკები!

დაუზოგავად ამოვწვავთ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ბანდის ნაშთებს

ალბულაღი, 27 სექტემბერი (საქდესი). ალბულაღის და მისი რაიონის მშრომელნი, გაეცნენ რა საბრალდებო დასკვნას აჭარის კონტრრევოლუციური, საიჯანყებო-ჯაშუშური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის საქმეზე და პროცესის სხვა მასალებს, ხალხის საზიზღარი მტრების მოღალატური მოქმედებით აღშფოთებულნი თავის ხმას უერთებენ საქართველოს სსრ ყველა მშრომელის ხმას.

მუშები, მოსამსახურენი, კოლმეურნეები, რომელნიც გამოვიდნენ 26 სექტემბერს ალბულაღში შემდგარ მრავალრიცხოვან მიტინგებზე, ერთხმად მოითხოვდნენ საზიზღარი ბანდიტების, სამშობლოს მოღალატეების დახვრეტას.

ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფ. კონსტანტინოვკა) კრებაზე კოლმეურნემ ამხ. ფეოდოროვმა განაცხადა:

„ხალხის საზიზღარი მტრები ლორთქიფანიძე, რამიშვილი, ქიქავა და სხვები მიზნად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში, კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობის აღდგენას, ისინი ამზადებდნენ საქართველოს მშრომელთა საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ბერიას მკვლელობას. მაგრამ მტრები მოსტყუვდნენ. ისინი გამოაშკარავებულნი არიან შინსახკომის სახელოვანი ორგანოების მიერ. ჩვენ მოვითხოვთ აჭარის ჯაშუშურ-მავნებლური ორგანიზაციის ყველა მონაწილის დახვრეტას“.

ამ კოლმეურნეობის აგრონომმა ამხ. გალიაპინმა განაცხადა:

— ამ არამზადებს უნდოდათ წაერთმიათ საბჭოთა აჭარის მშრომელთათვის ბედნიერი, საამური ცხოვრება, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება!

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო ძლიერი და უძლეველია. მტრების ვერავითარი ხრიკები ვერ შეარყევს საბჭოების ფოლადისებურ სიმძლავრეს. კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით პარტიის, ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის გარშემო. დაუზოგავად ამოვწვავთ ყველა სოროდან, ბუქარინელ ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის ნაშთებს.

ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა სასამართლოს დახვრიტოს აჭარის კონტრრევოლუციური, საიჯანყებო-ჯაშუშური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილენი!“

უფრო მაღლა ავსწევთ რევოლუციურ სიფხიზლეს

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები და მოსამსახურეები აჭარის კონტრრევოლუციური, ჯაშუშურ-საიჯანყებო, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესის გამო გამართულ მიტინგზე სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ სოციალისტური სამშობლოს მოღალატეებს, ხალხის უბოროტეს მტრებს, უცხოეთის დაზვერვის დაქირავებულ აგენტებს ზ. ლორთქიფანიძეს, ქიქავას და სხვ.

მიტინგზე გამოსულმა პროფესორებმა თოფურიამ, ჯანაშიამ, ლაისტერმა, მეცნიერმა თანამშრომლებმა ხუბუამ, სახოკიამ, მეგრელიშვილმა და სხვ. ილაპარაკეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიდი მიღწევების შესახებ, რომლებმაც წარსულში ჩამორჩენილი ბეგების აჭარა გადააქცია აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად. მათ განაცხადეს, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს წაართვას საბჭოთა აჭარის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი. აჭარელი ხალხი, გაშლის რა ფართოდ თავის შემოქმედებითს ძალებს დიდი სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ, არასოდეს არ დაიდგამს უცხოელ დამმონებელთა უღელს.

„მოველით პროლეტარული სასამართლოსაგან — ნათქვამია რეზოლუციაში, უაღრესად სასტიკ განაჩენს საზიზღარ გამცემთა ბანდისადმი, რომლებიც ცდილობდნენ კოლონიურ მონობაში გაეყიდნათ აჭარის მშრომელები.

პირობას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ უფრო მაღლა ავსწევთ რევოლუციურ სიფხიზლეს ხალხის საზიზღარ მტრებთან ბრძოლაში. ყოველმხრივ დავეხმარებით რა დიდი ოქტომბრის ერთგულ დარაჯს —შინსახკომს“.

არავითარი დანდობა ხალხის მტრებს

26 სექტემბერს ცეკავშირის სპეციალური საწყობების 250 მუშა-მოსამსახურე გაეცნო საბრალდებო დასკვნას აჭარის კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის წევრების საქმის გამო.

— ლორთქიფანიძე, ქიქავა, რამიშვილი და ყაჩაღთა ბრბოს სხვა წევრები,—ამბობს მომხსენებელი ამხ. ზაქარეიშვილი, — დაკავშირებული იყვნენ ხალხის უბოროტეს მტრებთან გერმანე მგალობლიშვილთან, ბუდუ მდივანთან და მოქმედებდნენ უცხოეთის ერთერთი ფაშისტური სახელმწიფოს მზვერავთა მითითებებით. რა მძიმე და აღმაშფოთებელია მათი დანაშაულობანი! ეს საზიზღრები, გველები, ლამობდნენ ბედნიერი ქვეყნის მშრომელთა მოქცევას ფაშისტ-ყაჩაღთა ბრჭყალებში, კაპიტალიზმის რესტავრაციას.

მიტინგის მონაწილენი უდიდესი მღელვარებით ისმენდნენ ფაშისტთა ბრბოს მავნებლური საქმიანობის ამბებს და ერთხმად მოითხოვდნენ მათ ფიზიკურად განადგურებას — დახვრეტას.

— ჩვენ კიდევ უფრო გავაჩაღებთ ბრძოლას საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, უფრო მეტად გავიმახვილებთ რევოლუციურ სიფხიზლეს,—ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში.

ჯაშუშები ფიზიკურად უნდა მოისპონ

(თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის მუშათა მიტინგის რეზოლუციიდან)

არ მოიძებნება სიტყვა, რომელსაც შეეძლოს ყველა იმ სისაძაგლის ზუსტად გამოხატვა, რასაც სჩადიოდა აჭარის კონტრრევოლუციურ-ჯაშუშური ორგანიზაცია.

დაადგა რა ტერორის გზას, ტროცკისტ-ჯაშუშთა ეს ბანდა წავიდა თვალთმაქცურად. იკეთებდა ერთგულების ნიღაბს, რათა ეწარმოებინათ დამარღვეველი, ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა.

სამშობლოს გამყიდველები ამზადებდნენ სოციალისტური აჭარის მოწყვეტას სსრ კავშირისაგან, ბეგების, მოლების, აღალარების ხელისუფლების აღდგენას.

თვითეული კომუნისტის, კომკავშირელის, მშრომელის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაამახვილოს მეტევითი რევოლუციური სიფხიზლე, შეეძლოს მტრის გამოცნობა, რა ნიღაბსაც არ უნდა ეფარებოდეს იგი.

ჩვენ მივესალმებით შინსახკომის ორგანოებს, რომლებიც დაუღალავად ამჟღავნებენ ხალხის მტრებს, და ვამბობთ:

ფაშისტი გამცემლები, ჯაშუშები, სამშობლოს გამყიდველები ფიზიკურად უნდა მოისპონ!

დაუნდობლად გავსრისოთ ცოფიანი ძაღლები

(თბილისის ვოროშილოვის სახელობის ქარხნის მუშათა მიტინგის რეზოლუციიდან)

ხალხის დაუძინებელი მტრები — ლორთქიფანიძე, ქიქავა, რამიშვილი და სხვა თვალთმაქცნი აჭარის კონტრრევოლუციური - ჯაშუშური ორგანიზაციიდან ამზადებდნენ საბჭოთა აჭარის დამონებას, აღალარებისა და ბეგების ბატონობის აღდგენას. ეს ბილწი საქმიანობა ხორციელდებოდა უცხოეთის ერთერთი ქვეყნის ფაშისტური დაზვერვის პირდაპირი მითითებებით, მოსყიდვის გზით.

ფაშისტ ბანდიტებს საბჭოთა აჭარის მშრომელების ლაღი, თავისუფალი ცხოვრება უნდოდათ გადაექციათ მონურ, ჯოჯოხეთურ, უუფლებო ცხოვრებად.

ჩვენ მოვითხოვთ ცოფიანი ძაღლების, ფაშისტური ბანდის, სამშობლოს მოღალატეთა, საბჭოთა კავშირის ხალხის სისხლით მოვაჭრეთა აღგვას პირისაგან მიწისა.

ჩვენი ქვეყნის განვითარებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა, სოციალიზმის ძლევამოსილი ლოკომოტივი დაუნდობლად გასრესს ყველას, ვინც ხელჰყოფს საბჭოთა ქვეყნის საზღვარს, საბჭოთა ხალხის ბელადების, საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს.

ახალი საარჩევნო კანონი—მასებში!

სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს

ბაღდათის რაიონში სტალინური კონსტიტუციის შესასწავლად ჩამოყალიბდა 53 წრე, რომლებშიც გაერთიანდა 1630 მშრომელი. პირველ ხანებში წრეებში სწავლების ხარისხი დაბალი იყო; ზოგჯერ წრის ხელმძღვანელები თვით ვერ ერკვეოდნენ არჩევნების ელემენტარულ საკითხებში. მაგალითად, სოფ. ფერსათის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული №2 წრის ხელმძღვანელმა კომკავშირელმა გ. ყიფიანმა და სოფ. ვარციხის ქოხ-სამკითხველოს გამგემ ვ. მარდანაიშვილმა არ იცოდნენ, რას ნიშნავს ფარული არჩევნები.

უზენაესი საბჭოს დებულების გამოქვეყნების დღიდანვე რაიონში შეიქმნა დებულების შემსწავლელი 136 წრე, რომლებშიც ჩაბმულ იქნა 3.354 მსმენელი.

რაიკომის ბიურომ სას. საბჭოებს მიამაგრა მომზადებული ამხანაგები.

ცალკე კოლმეურნეობებში ტარდება პოლიტდღეები, მიძღვნილი უზენაესი საბჭოს დებულების შესწავლისადმი. 20 სექტემბრამდე ჩატარებულია ხუთი პოლიტდღე. პოლიტდღეებზე პასუხი გაეცა 370 შეკითხვას, რომელთაგან უმრავლესობა შეეხებოდა სტალინურ კონსტიტუციასა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრ ადგილას საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ სახელმძღვანელობრუკები, წრეებში სამუშაოდ არ არიან შერჩეული საუკეთესო პროპაგანდისტები და აგიტატორები. ეს ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება გულდასმით უნდა შევისწავლოთ, რადგან ამაზე დიდადაა დამოკიდებული არჩევნების წარმატებით ჩატარება.

დ. კუბლაშვილი.

ასე ვერ შევისწავლით ახალ საარჩევნო კანონს

გორის რაიონში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის საქმეში დაუშვებელ უდარდელობას იჩენენ.

საქ. ვაჭრობის გორის განყოფილებაში, სადაც ასამდე მუშა-მოსამსახურე ითვლება, დღემდე ერთი წრეც არ ჩამოუყალიბებიათ. პარტორგანიზატორი კაციტაძე უპასუხისმგებლოდ აცხადებს: ბინა არა გვაქვს და სად უნდა ჩავატაროთ მეცადინეობაო.

ახალი საარჩევნო კანონის შესწავლისადმი დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ რაიონის სკოლებშიც. აგროტექნიკუმის დირექტორი ჯაბაური ჯერ ნაადრევად სთვლის დებულების შესწავლის დაწყებას მასწავლებელთა შორის, ხოლო გორის სრ. საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ყუფარაძე დებულების შემსწავლელი წრეების ჩამოუყალიბებლობას მასწავლებელთა დატვირთვით „ხსნის“.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლისადმი უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უნდა აღიკვეთოს. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი აგიტაციის გაშლას უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნების გარშემო.

ვ. ხმიადაშვილი

მეტი ყურადღება ახალი საარჩევნო კანონის შესწავლას

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

ქუთაისის რაიონის სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებში დროულად დაიწყეს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

ამ მხრივ გამოირჩევა რიონის სას. საბჭო, სადაც 10 აგვისტომდე გამოშვებულ იქნა დებულების შემსწავლელი ოთხი წრე (90 მსმენელი). ამჟამად აქ მეცადინეობს 22 წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 867 მსმენელი.

კარგი მდგომარეობაა მაღლაკის სას. საბჭოშიც, სადაც დღემდე დებულება შესწავლილი აქვს 850 მშრომელს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა.

ბევრ სას. საბჭოში ვერ მიაღწიეს მშრომელთა მასობრივად ჩაბმას წრეებში, გულისხმიერად არ შეარჩიეს წრის ხელმძღვანელები და ამიტომ ზოგ წრეში შეთვისების ხარისხი დაბალია.

წყალტუბოს სას. საბჭოში რამდენიმე ათასი ამომრჩეველია, უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეებში კი მხოლოდ 700 კაცია გაერთიანებული. აქ საქმეში აშკარა დაუდევრობას იჩენს ცხუნკურის სას. საბჭო, სადაც წრეების გარეშე დარჩენილია 400-ზე მეტი ამომრჩეველი.

მუხიანის სას. საბჭოში წრეების ხელმძღვანელთა შერჩევას ფორმალურად მიუდგნენ, რის გამო იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. წრის ზოგი ხელმძღვანელი (მაგ., ქ. ჯავახაძე და სხვ.) თვითონ არ იცნობს დებულების ყველა მუხლს.

ასეთსავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სოფ. გვიმრასა და ჭოგნარში, სადაც წრის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა ბალანჩივაძემ სრულიად ჩაშალა მუშაობა, მასწავლებელი ჭარხალაშვილი კი სისტემატურად მოუმზადებელი ცხადდებოდა წრის მეცადინეობაზე. ცხადია, ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება სწავლების მაღალ ხარისხზე.

დებულების შესწავლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შეუკავშირებელი მოსახლეობის პირველ საარჩევნო უბანშიც. აქ აღრიცხულია 248 დიასახლისი, შინამრეწველი და სეზონური მუშა. მათთვის 9 სექტემბერს ჩამოყალიბდა დებულების შემსწავლელი მხოლოდ ორი წრე — 88 მსმენელით. პირველ წრეში ოთხი მეცადინეობა ჩაატარეს, მაგრამ შეთვისების ხარისხი ძალზე დაბალი იყო, რის გამო მსმენელებმა ისიც არ იციან, თუ რას ნიშნავს თანაბარი, საყოველთაო, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით, როგორ ხდება დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება და სხვ.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მეორე წრეში, სადაც მსმენელებს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაც კი არ გააჩნიათ. რაღა ითქმის აქ შეთვისების მაღალი ხარისხის შესახებ?

აღნიშნულიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ქუთაისის რაიონში ჯერ კიდევ სერიოზულად არ მოუკიდნიათ ხელი უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ღრმად, ბეჯითად და გულდასმით შესწავლისათვის. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია და მოკლე ხანში უნდა გამოსწორდეს, რადგან არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა.

ეგ. გვასალია.

თბილისის ტრამვაის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ალანია სახელოსნოებას პარტაქტივს აცნობს? აწყვლის უზენაესი საბჭოს საარჩევნო დებულებას.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

„ახალი კოლხიდა“

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სექციამ გამოსაცემად [illegible] ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ახალი კოლხიდა“.

კრებულში მოთავსებულია ალ. აბაშელის, ირ. აბაშიძის, შ. აფხაიძის, კ. ბობოხიძის, ვ. გაბესკირიას, დ. ახვლედიანის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. გაჩეჩილაძის, ი. ვაკელის, გ. კაჭახიძის, ალ. მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, სოლ. თავაძის, პ. სამსონიძის, კ. ნადირაძის, გ. ტაბიძის, გ. ქუჩიშვილის, სიმ. ჩიქოვანის, ალ. ქუთათელის, ს. ხიდისთაველისა და სხვ. ლექსები, აგრეთვე ს. ეულისა და რ. გვეტაძის პოემები.

კრებულის გაფორმება ეკუთვნის მხატვრებს კეცხოველსა და გაბაშვილს.

კრებულის რედაქტორები არიან დ. დემეტრაძე და ს. ჩიქოვანი.

„ოტელო“ რუსთაველის თეატრში

1 ოქტომბერს იხსნება სეზონი რუსთაველის თეატრში. მიდის შექსპირის ტრაგედია „ოტელო“ ივ. მაჩაბლის თარგმანით.

მთავარ როლებს ასრულებენ: ოტელო—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკ. ხორავა, იაგო—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, დეზდემონა—რუს. ბერიძე, კასიო—დ. მჟავია, ემილია—თ. თუშიშვილი, ბიანკა — ნ. ლაფაჩი, როდერიგო—ლ. ყაზაიშვილი, ბრაბანციო—მ. ჩიხლაძე, ვენეციის მთავარი—ბ. წულაძე.

დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. ალსაბაძეს.

ახალი ამბები

★ **დაიწყო** შაქრის ჭარხლის მოსავლის მასობრივად აღება. მალე მუშაობას შეუდგება აგარის შაქრის ქარხანა, რომელიც დღელამეში გამოუშვებს 8.000 ცენტნერ შაქარს, ნაცვლად გასული წლის 7.000 ცენტნერისა.

★ **თბილისის** ხელოვნებათა მუზეუმი „მეტეხი“ შეუდგა მხატვრული ღია ბარათების გამოშვებას ახალი თბილისის სურათებით.

★ **ხელოვნების** საქმეთა სამმართველოსთან ეწყობა საბავშვო ორკესტრი 75 ნორჩი შემსრულებლით და საბავშვო კაპელა 100 ბავშვის შემადგენლობით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

29 სექტემბერს

ლენინიზმის კაბინეტი — ლექცია: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ“. ლექციას წაიკითხავენ ქართულ ენაზე ამხ. დ. თოფურია, რუსულ ენაზე — ამხ. ა. თვალთვაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ — ქართულ და რუსულ ენებზე. კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. პავჩინსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

გამფლანგველები სასტიკად უნდა დაისაჯონ

საქ. კ.პ. (ბ) მე-10 ყრილობამ საქართველოს სავაჭრო - კოოპერატიულ ორგანოებს ერთ-ერთ უახლოეს, გადაუდებელ ამოცანად დაუსახა გაფლანგვებისა და მტაცებლობათა სრული ლიკვიდაცია და საქონლის შემოტანის მოწესრიგება რაიონების მოსახლეობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ყრილობის ეს მითითებანი დღემდე არ არის შესრულებული. გაფლანგვა-განიავების შემთხვევები არა თუ შემცირდა, არამედ ბევრგან კიდეც გაიზარდა. 1937 წელში საქვაჭრობისა და ცეკავშირის სისტემაში შემავალ სავაჭრო ქსელში გაფლანგული თანხის რაოდენობა 3 მილიონ მანეთს აღემატება (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს ციფრი აღნიშნავს მხოლოდ იმ გაფლანგვებს, რაც უკვე გამოკვლეული და დადასტურებულია).

დადასტურებულია, რომ გაფლანგვები განსაკუთრებით დიდი იყო იქ, სადაც მოკალათებულნი იყვნენ ხალხის მტრები, რომლებიც ხელოვნურად ჰქმნიდნენ პირობებს გაფლანგვა-განიავებისათვის და ხელს უწყობდნენ გამფლანგველებს.

სავაჭრო ორგანიზაციებში შეპარული კლასობრივი მტრები სარგებლობდნენ, ერთის მხრით, ჩვენი მუშაკების, კერძოდ სავაჭრო დარგში მომუშავე კომუნისტების სიფხიზლის მოდუნებით და უმოქმედობით, ხოლო, მეორე მხრით, იმით რომ საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ გაატარეს ცხოვრებაში პარტიისა და ხელისუფლების არაერთგზისი მითითება და კერძოდ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წლის 14 მაისის დადგენილება გამფლანგველთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღების შესახებ, და კულიკურ - კომბინატორული საშუალებებით აჩერხებდნენ ათასობით ეფლანგათ საბჭოთა მანეთები.

აფხაზეთში ცეკავშირის სავაჭროების ხაზით 1937 წლის პირველ ნახევარში გაფლანგულია 180 ათასი მანეთი, ხოლო „აფხაზვაჭრობის“ ხაზით 202 ათასი მან., „აჭარვაჭრობაში“ გაფლანგულია 215 ათასი მან., „თბილვაჭრობაში“ — 148 ათასი, ხაშურში გაფლანგულია 70 ათასი მან., ყვარელში — 91 ათასი და ა. შ.

თბილისის პურის №30 მაღაზიის გამგემ თოდუამ გაფლანგა 14 ათასი მან., ზუგდიდში საქვაჭრობის მაღაზიის გამგემ ა. ამერაშვილმა გაფლანგა 14.600 მან., იქვე მეორე მაღაზიის გამგემ სიჭინავამ 13.700 მან., ხოლო დ. კოდუამ — 11.900 მან., ქუთაისში მაღაზიის გამყიდველმა შენგელაძემ გაფლანგა — 10 ათასი მან. და ა. შ.

უნივერმაღის კომერციული განყოფილების ყოფილ დირექტორს კარაპეტიანს სისტემატურად მიჰქონდა მაღაზიიდან სხვადასხვა ძვირფასი საქონელი. მისი თავაშვებულობა იქამდე მივიდა, რომ იგი მივლინებაში ყოფნის დროს მოსკოვიდან ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის იმავე უნივერმაღის სექციის გამგეს — გამფლანგველ ნინა ნადირაშვილს: გამომიგზავნე 3 ათასი მანეთი და, როცა ჩამოვალ, ჩამოგაწერო.

რკინიგზის სატრანსპორტო ვაჭრობის ბუხჰალტერმა კომბინატორმა ლებედევმა შეადგინა ყალბი ბალანსი, სადაც უჩვენა 195 ათასი მანეთის მოგება. მაშინ როდესაც ფაქტიურად ამ ვაჭრობის დამზადების ბაზაში ზარალი უდრიდა 150 ათას მანეთს. ლებედევს, რომელიც ხელს უწყობდა გაფლანგვებს და რომელმაც ჩაშალა წლიური ანგარიშების თავის დროზე წარდგენა, აუშენეს ბინა, რაზედაც 15 ათასი მანეთი დაიხარჯა და წლიური ანგარიშის „შედგენისათვის“ ჯილდოდ მისცეს 750 მანეთი.

ხშირია შემთხვევები, როცა იძენენ ძნელად სარეალიზაციო ან გაფუჭებულ საქონელს მავნებლური მიზნით და აგრეთვე კომბინაციების გასაადვილებლად. მაგალითად, საქვაჭრობამ შეიძინა 600 ათასი მანეთის ძნელად სარეალიზაციო და გაფუჭებული საქონელი. „აფხაზვაჭრობამ“ შეიძინა გაფუჭებული ყველი, რითაც იზარალა 171 ათასი მანეთი, ხოლო თევზის შეძენით, რომელიც აგრეთვე გაფუჭებული იყო, იზარალა 74 ათასი მანეთი.

აქ ჩამოთვლილი ფაქტები გამონაკლისს არ წარმოადგენენ, ხოლო რით უნდა აიხსნას მათი არსებობა?

ეს აიხსნება სავაჭრო ქსელის მუშაკთა კადრების შერჩევისა და მათდამი კონტროლის უმსგავსოდ დაყენებით. ხშირად პასუხსაგებ სამუშაოებს მაღაზიებში შემთხვევით ადამიანებს ანდობენ, ხოლო შემდეგ მათ არავითარ კონტროლს არ უწევენ. აი ერთი დამახასიათებელი ფაქტი: 3 ივლისს გაფლანგვისათვის სამუშაოდან მოხსნეს სოფ. ცაიშის (ზუგდიდის რ.) კოოპერატივის ნოქარი ვ. რუხაძე და მის მაგიერ დანიშნეს ვინმე ს. არაქანია, რომელმაც სულ ოციოდე დღის განმავლობაში მოასწრო 1523 მანეთის გაფლანგვა.

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ძლიერ ცუდად მუშაობენ სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

გამფლანგველთა საქმეების განხილვა თვეობით ჭიანურდება, ზოგჯერ კი თითქმის არავითარ ზომებს არ იღებენ მათ წინააღმდეგ. აი რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი:

ჭიათურაში გამყიდველმა ხუდიაშვილმა 5.031 მანეთი გაფლანგა. იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული და მისი საქმე სასწრაფოდ გასარჩევად 1937 წლის თებერვალში გადასცეს საჩხერის სახალხო სასამართლოს. მაგრამ საქმე არ გაირჩა იმის გამო, რომ ხუდიაშვილმა სასამართლოს სხვა შემადგენლობა მოითხოვა. ბრალდებულის მოთხოვნა დააკმაყოფილეს და საქმე ჭიათურის სახ. სასამართლოს გადასცეს. გაიარა ხანმა, მოელიან განაჩენს, მაგრამ... კომბინატორმა ხუდიაშვილმა, საქმის გაჭიანურების მიზნით, კვლავ განაცხადა პროტესტი სასამართლოს ამ შემადგენლობაზედაც და მოითხოვა მისი საქმის ზესტაფონის სახ. სასამართლოსათვის გადაცემა. „გულკეთილმა“ მოსამართლეებმა ისევ დააკმაყოფილეს ჭირვეული ბრალდებულის მოთხოვნა. მოსალოდნელი იყო, რომ ზესტაფონში მაინც მოახერხებდნენ გამფლანგველის გასამართლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა: ზესტაფონიდან ეს საქმე იმავე „მოტივით“ ჩხარის სახალხო სასამართლოს გადაეცა და საქმე ჯერაც არ არის გარჩეული.

სამხრეთ-ოსეთში მაღაზიის გამგემ ფრანგიშვილმა გაფლანგა 9784 მან., იქვე ჯიმიხაშვილმა — 5.000 მან., ხოლო ტასიევმა — 5.832 მან. მათი საქმე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში გადაეცა სამხრეთ-ოსეთის პროკურატურას, მაგრამ დღემდე არ არის განხილული.

სოხუმში „კულტსნაბის“ მაღაზიის გამყიდველმა გრიგოლიამ გაფლანგა 16 ათასი მანეთი. მისი საქმე სასამართლოს გადაეცა მიმდინარე წლის იანვარში, მაგრამ დღემდის არ გაურჩევიათ და გამფლანგველი თავისუფლად დასეირნობს.

გამფლანგველთა საქმეებისადმი ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს.

სოციალისტური საკუთრების გამნიავებლები უნდა დაისაჯონ რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით, როგორც ხალხის მტრები.

ამასწინათ მუშაობა დაამთავრა საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლების რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. თათბირმა განიხილა საკითხი საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა - განიავებასთან ბრძოლის შესახებ, რაზედაც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ფანცხავა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს სავაჭრო ქსელის აპარატის მუშაკთა შემოწმება. ვაჭრობის მუშაკები გაივლიან სპეციალურ საატესტაციო კომისიას.

დაუნდობლად ვამხილოთ და გავანადგუროთ სავაჭრო ქსელში შეპარული ხალხის მტრები, კომბინატორები, გამფლანგველები, კულიკები და ყველა ჯურის არამზადები.

პ. რატიანი

◆

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვანი მხატვრ. ფილმი **ჰობხეკი** დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	დადგმის მე-4 კვირა **პეტრე 1-ლი** დასაწყ. საზამთ. შენ. 6 ს., საზაფხ. შენ. 8-20
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ახალი ხმოვ. ფილმი **მაღაროელნი** დასაწყ. საზაფხ. 8-50, საზამთ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი **ბაჰრომ** დასაწ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	საზაფხ. შენ **შორეულ აღმოსავლეთში** დ. 8 ს. საზამთ. შენ. **ფრთოსანი მეგობარი** დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი **პირველი სიყვარული** დასაწყ. 8 ს.
ახალი ამბები	სტალინური შევარდნების გმირობა. ესპანეთის ამბები მე-19 გამოშვება.
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი **ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება** დასაწყ. 7 ს.

საქართველოს დაუსწრებელი
საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი ლიკვიდირებული იქნება
ა. წ. 1-ლი ოქტომბრიდან.

ყოველგვარი პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იქნას საქ. ფინსახკომის კადრების განყოფილებაში ა. წ. 15 ოქტომბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება განხილული.

„საქსედის“ დირექცია.

1728

ა. დ. ქლენჩი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.

წყნეთის ქ. № 8/ 17278

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო **თეატრი**

22 სექტემბრიდან გაიცემა მუდმივი ადგილების ბილეთები. მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: 1) ფულის გადარიცხვის საბუთები თანახმად ხელშეკრულებისა, 2) დაწესებულების მინდობილობა. ბილეთები მიიღება თეატრის სალაროში ყოველ დღე 11—7 საათ.

51 2—1 დირექცია.

საქფილმების საზაფხულო ბალი — 29 და 30 სექტემბერს

ორი დიდი საღამო-სეირნობა

საზაფხულო თეატრი 29 სექტემბერს რესპუბლ. დამსახ. არტისტი ბორის სამუილის-ძე **ბორისოვი**

30 სექტემბერს ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სოლისტი **ბორის გეფტი**

ღია ესტრადა თბილისის თეატრების არტისტთა გამოსვლები:

რუსთაველის თეატრი: დამსახ. არტ.: ემ. აფხაიძე, ლ. დოლიძე, გ. ხაღარაძე და ს. ჯაფარიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი: დამსახ. არტ.: ლადო კავსაძე, სანდრო ინაშვილი, არტისტები: პ. ამირანაშვილი, ბეატრიჩე ვალაცი, ბ. კრაველიშვილი, მერი ნაკაშიძე, ზ. ხვანიძე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი: სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე, დამსახ. არტ.: ვერიკო ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, თამარ ჭავჭავაძე, არტისტები: ვახო გოძიაშვილი, შ. გომელაური, ა. ქორქოლიანი, პიერ კობახიძე.

საქფილმები: ნვარდ ალიხანიანი, გ. ვარდიაშვილი, ე. გედალინა, გ. გომელაური, ნ. ილურიძე, ან. ინოველი, ლავროვები, მანტკავა, ნ. მახარობლიძე, ვ. მიაკიშევა, პაარე, ე. ფედოროვა, ა. ჩახავა, პ. ჭიჭინაძე.

ჯაზ-ორკესტრი სერგეი ბაბოვის ხელმძღვანელობით. ბალში მუსიკის ორი ორკესტრი, ფეიერვერკი, კონფეტტი, სერპანტინი, დუდუკთა ტრიო—გეურქ შულავერელისა და ხ. ტალგაუგოვისა. სეირნობის დასაწყისი საღ. 8 საათ.

მთელი წმინდა შემოსავალი გადაირიცხება თვითმფრინავის აგების ფონდში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ სექტორზე

მიღების პირობები 1937-38 სასწავლო წლისათვის

მსმენელები მიიღებიან ქართული, რუსული, სომხური და თურქული სექტორების შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) ფიზიკა-მათემატიკურ,
ბ) გეოგრაფიულ,
გ) საბუნებისმეტყველო,
დ) ენისა და ლიტერატურისა და
ე) ისტორიულზე.

დაუსწრებელ სექტორზე უგამოცდოდ მიიღებიან დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლები, დანარჩენი პირები-კი უმაღლეს სასწავლებელში მიღების საერთო წესის მიხედვით.

განცხადებები და საბუთები გამოგზავნილ უნდა იქნას დაუსწრებელი სექტორის გამგის სახელზე შემდეგი მისამართით:

თბილისი, მარის ქ. № 1, სახუნტის დაუსწრებელი პედ. სექტორის გამგეს.

განცხადებები მიიღება 10 ოქტომბრამდე.

უნივერსიტეტის რექტორი კიკნაძე.
დაუსწრებელი პედ. სექტორის გამგე სიგუა.

1242

მისამართები რედაქციის -- თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61. სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24. პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8931